გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru

№232 (290) 13-20 აგვისტო 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ორგანო 30 თეთრი

აირია მონასტერი, ძაღლი პატრონს მაინც სცნობსო...

სააკაშვილის მოშორებამდე დარჩა 75 დღე

პირველად **"მონასტერი"** მაშინ აირია საფუძვლიანად, როცა საქართველოს ხელისუფლებაში ავადსახსენებელი **"ნაციონალები"** და მათი შეურაცხადი ბელადი სააკაშვილი მოვიდნენ! როგორ შეიძლებოდა ქვეყანა დაელაგებინათ ბოკერია-თარგამაძე-გაბაშვილ-კანდელაკისნაირ უტიფარ, თვალებდაყვლემილ, პირმოკუმულ და ცხიმში ჩაძირულთვალებთვალებიან პოლიტიკურ თუ ბიოლოგიურ არარაობებს, რომლებსაც ცხოვრებაში ერისა და ქვეყნისათვის არასდროს არაფერი სასარგებლო არ გაუკეთებიათ და მხოლოდ დანგრევასა და გრანტების თქვლეფას იყვნენ დაჩვეული?!

2012 წლის 1 ოქტომბერს ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიტუაციების დალაგების იმედი გაჩნდა, თუმცა, **"ქართულ ოცნებას"** ისეთი მენტალიტეტის მქონე პოლიტიკოსები **"მიეწეპნენ"**, რომ სიტუაციის კვლავ არევის არც თუ უსაფუძვლო ეჭვი გაჩნდა. და, აი, სამწუხაროდ, ეს ვარაუდიც გამართლდა და კოალიციას პირველი საგრძნობი დარტყმა მიაყენა არც თუ დიდი პოლიტიკური ავტორიტეტის მქონე, **"ნა ვერტელედ"** წოდებულმა **"მძიმეწონიანმა"** პარლამენტარმა კობა დავითაშვილმა, რომელიც მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გუნდში მოხვედრის წყალობით გახდა პარლამენტის წევრი, თორემ დეპუტატად კი არა, მეგობრების ვიწრო წრეში, სუფრაზე, მას თამადის მეორე მოადგილედაც კი არავინ აირჩევს! საინტერესოა, დავითაშვილს რა დამსახურება აქვს ისეთი ქვეყნის წინაშე, რომ ამხელა ამბიციით გამოგვეცხადოს მეორედ მოსვლასავით? ყველა მისი საკანონმდებლო ინიციატივა ხომ ხალხთა გარკვეული ჯგუფის პირად ინტერესებზეა გათვლილი, რაც მას ახალი **"ნა ვერტელეებით"** უზრუნველჰყოფს!

პოლიტიკაში **"მოხეტიალე ფორვარდად"** აღიარებული კობა დავითაშვილის ეს ნაბიჯი რომ გარდაუვალი იქნებოდა, ახლა ირკვევა, რადგან ივანიშვილს თავად არ შეურჩევია **"ქართული ოცნების"** გუნდის წევრები, და ამერიკელებმა დაუკომპლექტეს **"კამანდა"**, თორემ, ბიძინასთანა წინდახედული ადამიანი თანამებრძოლებად სრულიად უავტორიტეტო, ანტიქართულ ძალად აღიარებულ რესპუბლიკელებს რომ აირჩევს, ნათელზე ნათელია, რომ ეს მისი გადაწყვეტილება არ იქნება და ოკეანისგაღმელ **"სუფლიორთა"** ნაჯახირევს უფრო ჰგავს. ხოლო ამერიკელებს რა **"სიკეთეც"** ემეტებათ საქართველოსა და ქართველი ერისათვის, ამას უკვე მეორე ათწლეულია კარგად ვხედავთ და ვგრძნობთ!

ისე, ცოდვას ვერ ვიტყვი, მაგრამ ივანიშვილმა ადრევე გაშიფრა დავითაშვილის პოლიტიკური მენტალიტეტი და თქვა: კობას ურჩევნია ოპოზიციაში იყო და საქმის კეთების ნაცვლად გვაკრიტიკოს, რადგან მას საქმის კეთება არ შეუძლიაო. კობამაც **"გაუმართლა"**, თავისი ჭეშმარიტი მიზანი გამოააშკარავა და კოალიციის დასუსტების გამო ხალხის რისხვა რომ აეცილებინა თავიდან, ისღა მოიფიქრა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის დურთა თავი. თუმცა, კობა დავითაშვილმა კარგად იცის, რომ მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებში შალვა ნათელაშვილზე ორი ხმით მეტს, ე.ი. სულ 5 ხმას თუ მოაგროვებს, რაც საიმისოდ მაინც ეყოფა, რომ მომავალში ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ჩვეული მანერით იტრაბახოს და უფრო ომახიანად შეუკვეთოს რესტორანში **"ნა ვერტელე"**.

როგორც მისი თანამემამულე სომხები იტყვიან: **"სალოლ, კობა დავითაშვილო, დევიატკაში მაარტყი, რაღა..."**

ჩვენ კი თავს იმ პოსტულატით დავიმშვიდებთ, რომ, **"როცა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გულივერი არ მონაწილეობს, ასპარეზი ლილიპუტებს რჩებათ..."**

ქართულ საზოგადოებას იმის სერიოზული ეჭვი რჩება, რომ კობა დავითაშვილის ეს გადაწყვეტილება სრულიადაც არ გახლავთ იმპულსური და იგი შეიძლება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან ერთად დაგეგმილი ინტრიგა იყოს. დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ავანსცენაზე კი ყველაზე ბინძური და ინტრიგანული ძალა სულისმღაფველი **"ნაცმოძრაობა"** რომაა, ამაში ეჭვი არავის ეპარება!

რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დღეს ბიძინა ივანიშვილის ქართული პოლიტიკიდან წასვლა სწორედ ნაციონალებს და ბნედიან სააკაშვილს არ აძლევს ხელს. არსად, არასდროს არ ჰქონია ისეთი დაცვა პირწავარდნილ დანაშაულებრივ ორგანიზაცია **"ნაციონალებს"**, დღეს რომ ჰყავთ ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური კოალიციის სახით. დღეს რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური ასპარეზი დასტოვოს, ალბათ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება, რაც სიკვდილის ტოლფასი იქნება ნაციონალებისათვის, რადგან, მომავალ არჩევნებში ისინი ვერასოდეს ვერ გადალახავენ 5-პროცენტიან ზღვარს და პარლამენტს მიღმა აღმოჩნდებიან. ჯერ პარლამენტში რომ არიან, იქ რას აკეთებენ, მავნებლობისა და დესტრუქციული ქმედებების გარდა, ხოლო, როცა პარლამენტს ჩამოშორდებიან, მაშინ ისინი საერთოდ აღარავის გაახსენდება. ამიტომაც არიან იმის კატეგორიული წინააღმდეგი, რომ პრემიერ-მინისტრი თანამდებობიდან წავიდეს, თორემ მათ, თავიანთი **"დაუძინებელი მტრის"** ბიძინა ივანიშვილის ბედი ისევე აინტერესებთ, როგორც მე მდინარე ხუანხეში მობანავე ტიტლიკანა ჩინელისა!

საფიქრალი კი ის გახლავთ, რომ, ამ შემთხვევაში, ბიძინა და ნაციონალები **"ერთ ნავში"** სხედან და გარემოებათა აუცილებლობით ნაკარნახევი პარტნიორები არიან, რამაც შეიძლება სრულიად გაუთვალისწინებელი პოლიტიკური გარემო შექმნას. ყოველგვარი ნაძირალური ქმედების მკადრებელი **"ნაციონალები"** და მათი სულმოკლე ბელადი სააკაშვილი, რომლებიც მძიმე დაავადებად ექცნენ საქართველოს, ყველაფერ საზიზღრობას იღონებენ საიმისოდ, რომ როგორმე ქართულ პოლიტიკურ არეალს შემორჩნენ და როდისმე მაინც დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. პოლიტიკურად გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი სნეულისათვის კი ავადმყოფობის შებრუნება ხშირად მისი სიკვდილით მთავრდება. ისიც უტყუარი ფაქტია, რომ ავადსახსენებელ **"ნაციონალებზე"** საშიში სნეულება საქართველოს, თავისი ისტორიის მანძილზე, არ შეყრია. განა სწორედ საქართველოს განადგურება არ გახლდათ სააკაშვილისა და მისი **"ნაცბანდის"** ოცნება?

ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს ის, რომ მიხეილ სააკაშვილის პირად საკუთრებაში არსებულ (რაც მან ბიძინა ივანიშვილთან საუბარში აღიარა კიდეც) ტელეარხ **"რუსთავი-2"**-ზე შესამჩნევად იმატა რეკლამებზე სახელმწიფო შეკვეთებმა, რაც მის ფინანსურ გაძლიერებას ნიშნავს. და ეს მაშინ, როცა ობიექტურ ტელეარხებს, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს **"ქართული ოცნების"** გამარჯვებაში, რეკლამებიდან შემოსავლები არ გააჩნიათ და ძლივს ახერხებენ მაუწყებლობას!

საზოგადოების მიერ უგულვებელყოფილი იქნა საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო **"საქინფორმის"** მოწოდება (ვაქვეყნებთ გაზეთის ამ ნომრის მე-7 გვერდზე) იმის თაობაზე, რომ საყოველთაო ბოიკოტი გამოვუცხადოთ გარყვნილების ბუდეს და ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და მართლმადიდებლების, ჰეტეროსექსუალების და არასრულწლოვანი ბავშვების უფლებების შელახვის ფაქტზე სასწრაფოდ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე ტელეკომპანია **„რუსთავი 2"**-ის წინააღმდეგ, დამნაშავეები კი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

შენც არ მომიკვდე! ვინ გაბედავს საქართველოში იმ პედერასტებისა და სხვა გადაგვარებულების შეწუხებას, რომელთაც რიგებს, ამერიკის ხელდასხმითა და ფინანსური მხარდაჭერით, დიდი მონდომებით ზრდიდნენ და აძლიერებდნენ საქართველოში სულიერად მახინჯი მიხეილ სააკაშვილი და მისი ასევე გადაგვარებულ-გაპიდარასტებულ-გალესბოსებული თანამზრახველები!

მოკლედ, მართლაც აირია მონასტერი!..

ვერ გაგვიგია, ვისი რეკლამა ვის არხშია!..

სიდუხჭირისა და სიბინძურის მოძალებით გამწარებული საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება **"ნაციონალური მოძრაობის"** საერთაშორისო დონის დანაშაულებრივ ორგანიზაციად აღიარებას და მის მკაცრად გასამართლებას მოითხოვს, **"ქართული ოცნება"** კი ყოველნაირად ცდილობს მის **"გაპრავებას"** და რეანიმირებას!

ვერ გაუთავისებიათ ის ამბავი, რომ მკვლელებისა და მოძალადეების ადგილი ციხეშია და არა პარლამენტში!

ნუთუ ამ გულჩვილებს ის მაინც არ გაუგიათ, რომ ნაძირალა ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია. რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს, მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ სააკაშვილმა და მისმა ბანდამ, 9 წლის განმავლობაში, საქართველოს დანგრევის პირად მიყვანა მოახერხეს, რასაც მართლაც რომ დიდი ნიჭი და მოხერხება სჭირდება. ამ პრეზიდენტობის კანდიდატების შემხედვარეს კი ის სამწუხარო აზრი მეუფლება, რომ მათ აშენების კი არა, დანგრევის უნარიც არ გააჩნიათ! ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი მის უბეში გამოზრდილი **"ნაციონალების"** უსაზიზღრესმა პოლიტიკურმა კომბინაციებმა იმდენად დასცა ქვეყანაში პრეზიდენტის კეთილშობილური ინსტიტუტის ავტორიტეტი, რომ ამ სიტყვის ხსენებაც კი ხალხში საშინლად უარყოფით ემოციებს იწვევს! ამიტომ იყო აუცილებელი, რომ ამ პოსტზე კენჭი ეყარა პირუთვნელ, პრინციპულ, მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე პოლიტიკოსს, სწორედ ისეთს, როგორიც ბატონი **ალექსანდრე ჭაჭიაა**, და არა მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე გადაგებულ მიხეილ სააკაშვილისნაირ ვირთხას, რომელიც **"კეთილსინდისიერად"** ასრულებდა მისი ოკეანისგაღმელი თანამემამულეებისაგან შეკვეთილ საქართველოს განადგურების გეგმას!

ამასობაში კი ქართველი ნაციონალებისაგან **"დაწიხლული"** და უკუგდებული რუსეთი კვლავაც საკანონმდებლო დონეზე აგრძელებს საკუთარი საზოგადოების დაცვას პედერასტობისა და სხვა გაუკუღმართებულ ტენდენციათა მოძალებისაგან, რამაც ამერიკელთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მაგალითად, კანადის **"ლგბტ"** (ეს ავადსახსენებელი აბრევიატურა ნიშნავს **ლ**ესბოსელების, **გ**ეების, **ბ**ისექსუალებისა და **ტ**რანსგენდერთა სამარცხვინო გაერთიანებას) საზოგადოების უკანალმორღვეულთა ბირთვმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ჩასულ ჰომოსექსუალებს შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნათო!

ვერ გამიგია, ეს ცვედანი მახინჯები სოჭში სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას აპირებენ თუ საკუთარი გაპარტახებული უკანალების დაგირავებას!

დღეიდან ჩვენ ვამკვიდრებთ პლაკატს, თუ რამდენი დღე დარჩება სააკაშვილისა და მისი გადაგვარებული, ადამიანის სახედაკარგული თანამოაზრეების ქართული პოლიტიკიდან გადაშენებამდე, რასაც მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელი კვირეები გვაშორებს.

კიდევ მცირე მოთმინება გამოვიჩინოთ, ქართველებმა, რადგან ცხრა წელიწადი გავუძელით ამ უმსგავსოებას და **"ღირსეულად"** დავკრძალოთ **"ნაციონალთა"** პოლიტიკური გვამი, რათა 2013 წლის 27 ოქტომბერს საერთო-სახალხო დღესასწაულით აღვნიშნოთ საქართველოს სამუდამოდ დახსნა ამ მახინჯ მტარვალთა კლანჭებიდან!

როლანდ ჯალაღანია,

"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი

სოხუმელი ზურაბ გუგუჩია ციურიხის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი გახდა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული არაჯანსაღი და არასასურველი მდგომარეობის გამო ქართველი ახალგაზრდები იძულებულნი ხდებიან, უცხოეთში გადაიხვეწონ და თავიანთი ნიჭი და ცოდნა სხვა ქვეყნების კეთილდღეობას მოახმარონ. შვეიცარიელ მეცნიერებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტის, ზურაბ გუგუჩიას ნიჭიერება და ყოველნაირად შეუწყვეს ხელი, მას თავისი ცოდნა სრულად გამოევლინა. ზურაბ გუგუჩიამ შვეიცარიაში ამ დღეებში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფიზიკის ყველაზე ურთულეს – ზეგამტარობისა და მაგნიტიზმის განხრაში და ამ უნივერსიტეტის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი გახდა. ის თავის მეუღლესთან, ქალბატონ მაგდასთან და პატარა მარიამთან ერთად რამდენიმე დღით იყო ჩამოსული ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში, სადაც ამჟამად მამამისი ცხოვრობს, ასევე ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ გუგუჩია, და თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა.

– ბატონო ზურაბ, პირველ რიგში, გვინდა ვიცოდეთ, როგორ მოხვდით შვეიცარიაში?

– ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მე-3 კურსზე ყოფნისას, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა, მივიღე მოწვევა შვეიცარიიდან. დავყავი იქ სამი კვირა. ეს მოწვევები მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ბაკალავრიატის კურსის დამთავრების შემდეგ ციურიხის უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის პროფესორების – ჰუგო კელერისა და ალექსანდრე შენგელიას ხელმძღვანელობითა და შემოთავაზებით, სწავლა განვაგრძე ციურიხის უნივერსიტეტის დოქტორანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ დავიცავი სადოქტორო დისერტაცია 2013 წლის ივნისში და გავხდი ფიზიკის დოქტორი და ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი.

– თქვენ ამ ოთხი წლის განმავლობაში ციურიხის უნივერსიტეტი გაფინანსებდათ. რატომ და რა მიზნით გაიღეს შვეიცარიელებმა ასეთი დიდძალი თანხა თქვენთვის?

– ჩემი და ჩემი ოჯახის შენახვა წელიწადში მათ, ყველაზე ცოტა, 50 ათასი დოლარი უჯდებოდათ. ***შვეიცარიელების ამოცანა და მიზანია, ახალგაზრდებში გამოავლინონ ის პოტენციალი, რომელიც მათ გააჩნიათ და, თუ ნახეს, რომ გაგაჩნია ნიჭი და შესაძლებლობა, ყოველნაირად შეგიწყობენ ხელს.*** მე მოვხვდი ერთ-ერთ უძლიერეს ჯგუფში – ზეგამტარობისა და მაგნიტიზმის ჯგუფში, რომლის დამაარსებელია ნობელის პრემიის ლაურეატი ალექს მიულერი. ჩვენი მთავარი დამფინანსებელია ციურიხის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ციურიხის უნივერსიტეტი. როცა ჩვენი ჯგუფი აქვეყნებს სამეცნიერო პუბლიკაციებს, ჩვენი დამფინანსებლები მიიღებენ ხოლმე გარკვეული რაოდენობის თანხებს, სხვადასხვა ფონდიდან, გრანტების სახით.

ასე რომ, ჩვენზე გაწეული ხარჯები და უფრო მეტი, მათ უკან უბრუნდებათ. ასევე, ისინი ცდილობენ, სახელი მოიხვეჭონ, აამაღლონ უნივერსიტეტის ავტორიტეტი. როდესაც მე ვაქვეყნებ პუბლიკაციებს, არსად არ ჩანს, რომ მე საქართველოდან ვარ და ვარ ქართველი. ყველაფერი მიეწერება შვეიცარიას.

– შვეიცარიაში რომ არ წასულიყავით, რას მიაღწევდით საქართველოში?

– საქართველოში, ალბათ, ვიქნებოდი რიგითი ფიზიკოსი ან ჩვეულებრივი ლაბორანტი. სხვა გასაქანი ამ დარგის სპეციალისტებს საქართველოში არ აქვთ. ***ჩვენთან დოქტორანტურაში რომ მოხვდე, ფული უნდა გადაიხადო. იქ კი პირიქით – ისინი გიხდიან ფულს, ამიტომაც ჩემი წასვლა შვეიცარიაში იყო იძულებითი, სხვა გამოსავალი მე არ მქონდა.***

– ბატონო ზურაბ, მაინც რა განსხვავებაა საქართველოსა და შვეიცარიის განათლებისა და მეცნიერების სფეროებს შორის?

– განსხვავება ძალიან დიდია, თუმცა ***საქართველოში თეორიული სწავლების დონე შედარებით მაღალია, რადგან ჯერ კიდევ მოგვყვება და შენარჩუნებულია საბჭოთა კავშირის დროინდელი სწავლების მაღალი დონე და მეთოდები. მე სწორედ ის თეორიული ცოდნა გამომადგა ციურიხში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან პრაქტიკული სწავლების დონე ძალიან დაბალია.*** უცხოეთში კი ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა სწორედ პრაქტიკულ სწავლებას, ექსპერიმენტებს.

– რა უნდა გაკეთდეს ჩვენთან, რომ მიღწევები გვქონდეს განათლებისა და მეცნიერების დარგში?

– უპირველესად, უნდა იყოს ნება, სურვილი საიმისოდ, რომ საქართველოდან არ გაედინებოდნენ ნიჭიერი ადამიანები, ამისთვის საჭიროა განათლების ფინანსური მხარდაჭერა. მე, როგორც საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტს, მიმაჩნია, რომ ***აუცილებელია ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება. ამას კი დიდძალი თანხები სჭირდება, რაზეც ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს და მთავარია, რომ საქართველოში განათლება და მეცნიერება გახდეს პრიორიტეტული.***

– როგორია თქვენ მიერ შვეიცარიიდან დანახული საქართველო და როდის აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

– ოთხი წელია, წასული ვარ საქართველოდან და მე ისევ ის საქართველო დამხვდა, როგორიც დავტოვე. თითქმის არაფერია შეცვლილი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ***ჩვენთან განვითარების ტემპი ძალიან დაბალია. შვეიცარიაში, ყოველწლიურად კი არა, ყოველდღიურად იგრძნობა განვითარების ტემპი. საქართველოში ამ განვითარებას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები უშლის ხელს.***

ჩემი შვეიცარიაში წასვლა აუცილებელი იყო ჩემი კარიერისთვის. საქართველოში, მინიმუმ, 2-3 წელი ვერ ჩამოვალ, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე. ჩემი დიდი სურვილია, საქართველოში დავბრუნდე და მთელი ჩემი ცოდნა და განათლება მოვახმარო ქართული მეცნიერების, კერძოდ ფიზიკის დარგის აღორძინებასა და განვითარებას. თანაც ყველა იმ ქართველისთვის, რომელიც პატივს სცემს ქართულ წესჩვეულებებს, ტრადიციებს, ძალიან ძნელია უცხოეთში ცხოვრება.

ესაუბრა ლადო ქირია, ზუგდიდი

აფხაზეთისა და სერბეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატების მეგობრული ურთიერთობის პერსპექტივები

ამას წინათ სერბეთის მეწარმეთა მიწვევით აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია, პალატის პრეზიდენტის გენადი გაგულიას ხელმძღვანელობით, სერბეთის რესპუბლიკას ეწვია. გაიმართა მეწარმეთა შეხვედრები, სადაც ურთიერთობის განვითარების, კონტაქტების დამყარებისა და საერთო ინტერესების გამოძებნის შესაძლო პერსპექტივებზე იმსჯელეს.

თავისი ვიზიტი აფხაზურმა დელეგაციამ სერბეთში რუსეთის ფედერაციის სავაჭრო წარმომადგენლობაში გააგრძელა, სადაც ორმხრივი მჭიდრო ეკონომიკური კავშირის დამყარებაზე იმსჯელეს.

მომდევნო დღეებში დელეგაციამ ბელგრადის ზოგიერთი საწარმო მოინახულა.

აფხაზეთის ეკონომიკა ნელა, მაგრამ დამაჯერებლად მიიწევს წინ, რაც ნებისმიერ ნორმალურად მოაზროვნე ქართველისათვის ფრიად სასიამოვნო მოვლენა გახლავთ!

საქინფორმი

უნგრელი სწავლული გეჟა კოშა: *ჩვენ გვინდა რომ ჩვენმა ხალხებმა მეტი იცოდნენ ერთმანეთის თაობაზე, ითანამშრომლონ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში*

ამას წინათ აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ ჩირიკბა შეხვდა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის და უნგრეთის ეროვნული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლებს.

მიესალმა რა სტუმრებს, ბატონმა ვიაჩესლავ ჩირიკბამ აღნიშნა: **"ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა, ამიტომ, უნგრეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან საქმიან შეხვედრას ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენი აფხაზეთში ვიზიტი იქნება წარმატებული, რაც მომავალი ურთიერთთანამშრომლობისა და საქმიანი კავშირების გაძლიერების მყარი საფუძველი გახლავთ. უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გეგმის შემუშავება კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროებში, რადგან სწორედ ამ სფეროებში ერთობლივი საქმიანობა იქნება აფხაზეთის დეიზოლაციის მძლავრი ფაქტორი".**

თავის მხრივ, უნგრეთის ქალაქ ვაცრატოტში მდებარე ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორმა გეჟა კოშამ თქვა: **"მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, უშუალოდ არაა დაკავშირებული პოლიტიკასთან, ჩვენთვის ძალიან კარგადაა ცნობილი აქ განვითარებული მოვლენები. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთი ამჟამად საერთაშორისო იზოლაციაშია, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს გზა გავუხსნათ ევროპაში. ჩვენ გვსურს, რომ უნგრელი და აფხაზი ხალხები უფრო ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს და მჭიდროდ ითანამშრომლონ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. დღეს ჩვენ არაოფიციალურ გარემოში ვამკვიდრებთ ურთიერთთანამშრომლობის ქვაკუთხედს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ მეცნიერების, არამედ პოლიტიკის კუთხითაც. დროთა განმავლობაში ამან შეიძლება მიგვიყვანოს უნგრეთსა და აფხაზეთს შორის ოფიციალური ურთიერთობების დამყარებამდე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მალე აფხაზეთი ევროპის სრულუფლებიანი წევრი გახდება. თქვენს ხალხს სიკეთესა და აყვავებას ვუსურვებთ".**

აღნიშნულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სერგეი ბებია, დაისახა მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები.

რკინიგზის ხაზის აღდგენა სასარგებლო იქნება ყველასათვის

საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა რეგიონის სტაბილიზაციის მძლავრი სტიმული იქნება. ამგვარი აზრი სულ უფრო ხშირად ჟღერდება აფხაზურ და ქართულ ინტერნეტსაიტებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს სათავეში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შედეგად, ახალი პოლიტიკური ძალა – **"ქართული ოცნება"** მოვიდა.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, რომელიც სწორედ სააკაშვილის მმართველობის ჟამს გავიდა ყოველგვარი პოლიტიკური საზღვრებიდან, ახალი ხელისუფლება ამ ურთიერთობათა გამწვავებას აღარ დაუშვებს.

ამის იმედს იძლევა საქართველოდან რუსეთისაკენ წასული დადებითი შინაარსის მესიჯები: თუნდაც საქართველოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში და საქართველომ უკვე აღადგინა რუსული ტელეარხების გადაცემები.

იგივე დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენის თაობაზე, რაც უშუალოდ დააკავშირებს ერთმანეთს საქართველოსა და რუსეთს. პოლიტიკოსები ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ამბობენ რუსეთის რეაქციაზე ამგვარი გამოწვევების მიმართ, მაგრამ ერთხმად აღნიშნავენ, რომ ყოველივე პოზიტიური ძვრა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ჯერ ერთი, რუსეთი არ მალავს, რომ რკინიგზის ხაზის გახსნა დიდ როლს ითამაშებს რეგიონში საერთო სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, მეორეც, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული სიტუაციის ფონზე, ეს სარკინიგზო ხაზი ბევრად გააძლიერებს უსაფრთხოებას, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია რუსეთისათვის. პოლიტიკოსები იმედოვნებენ, რომ მიუხედავად საქართველოსთან არსებული რიგი უთანხმოებებისა, რუსეთი მაინც პოზიტიურად მიუდგება აღნიშნულ საკითხს და საქმეც მალე დაიძვრება მკვდარი წერტილიდან

ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თავად აფხაზების მოთხოვნებიც, რომლებიც, როგორც ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი, რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღებას შეეცდებიან აღნიშნული საკითხის მოგვარებისას. ამასთან, ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აჟღერებენ ლოზუნგს: **"დამოუკიდებლობა არა მხოლოდ საქართველოსაგან"**. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული აზერბაიჯანელთა პოზიციაც, რომლებსაც დიდად არ სიამოვნებთ რუსეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთთან. გარკვეული შეკითხვები გაუჩნდება ალბათ თურქეთსაც.

მაგრამ იმედია, რომ ყველაფერი დაინტერესებულ მხარეთა სასარგებლოდ დასრულდება.

საკ. ინფ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲛᲘᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲙᲔᲤᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ!

საქინფორმში ექს-მმართველი პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** ხელმძღვანელობასთან დაახლოებული კომპეტენტური წყაროსაგან ინფორმაცია შემოვიდა. აღმოჩნდა, რომ ა.წ. ივლისში **„ნაცმოძრაობის“** ხელმძღვანელობის დახურული თათბირი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“** დავით ბაქრაძე.

განხილვის საგანი იყო ბოლო დროს აფხაზეთის მართლმადიდებელ მღვდელმსახურთა წრეში მიმდინარე პროცესები, კერძოდ – მამა დოროფეის (დბარი) და მამა დავითის (სარსანია) აქტიური მოღვაწეობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციიდან ოფიციალურად გამოსვლისა და კონსტანტინოპოლის საპარტიარქოს მხარდაჭერით აფხაზეთის ტერიტორიაზე **„ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“** შექმნისათვის. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომე I-მა უკვე მიიღო შესაბამისი წერილობითი მიმართვა აფხაზთა ჯგუფისაგან.

როგორც ამასწინათ იუწყებოდა საქინფორმი, ახალი ათონის მონასტერი დღეს მოსკოვის საპატრიარქოსა და სავანის ხელმძღვანელებს შორის უთანხმოების ეპიცენტრად იქცა. მათ სკანდალით გაწყვიტეს ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც მართლმადიდებელ მორწმუნეებს აფხაზეთში უწინდებურად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ წიაღში აღიარებს. ამჟამად საეკლესიო წესს ახალ ათონში აღასრულებენ მღვდლები, რომლებსაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მსახურება აკრძალული აქვთ. შეგახსენებთ, რომ 2013 წლის მაისში აფხაზეთის პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სულიერი კავშირი 20 წლის წინ ომის დროს გაწყდა და ახლა აფხაზეთის მართლმადიდებლობის მომავალი მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უკავშირდება. მოსკოვის საპატრიარქომ, თავის მხრივ, ანონიმური წარმომადგენლის პირით აფხაზეთში ეკლესიის სტატუსის პრობლემის სირთულე დაიმოწმა და ყველა საეკლესიო კანონის გათვალისწინებით კომპლექსური მიდგომის გამომუშავებისთვის დრო მოითხოვა.

დახურული თათბირის მონაწილეებმა, რომელიც შუაღამემდე გაგრძელდა, დაასკვნეს, რომ აფხაზეთში საეკლესიო სიტუაციის განვითარება **„აფხაზეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“** შექმნის მიმართულებით კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომე I-ის მოწოდებით საბოლოო ჯამში ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს შეესაბამება. ამასთან დაკავშირებით დაისახა ამ პროცესის ფარული მხარდაჭერის ღონისძიებები.

ამგვარი გადაწყვეტილების ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს:

– მიხეილ სააკაშვილმა **„საიდუმლო სერობაზე“** გაიზიარა ინფორმაცია ვაშინგტონური წყაროებიდან იმის შესახებ, რომ **„აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის“** ჩამოყალიბების პროცესით გავლენიანი რესპუბლიკელი სენატორები ჯონ მაკკეინი და ჯასტინ ემაში დაინტერესდნენ, რომლებმაც ნატოს სტრუქტურების საშუალებით მხარდაჭერაზე დაითანხმეს ანკარა, რომელიც ფარულად აკონტროლებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს. პროექტის **„ავტოკეფალია მართლმადიდებელთათვის აფხაზეთში“** რეალიზაცია მთლიანად შეესაბამება აშშ-ის და დასავლეთ ევროპის კონცეფციას, რომელიც ევრაზიაში რუსეთის გავლენის გავრცელების დაბლოკვაზეა მიმართული და, კერძოდ, აფხაზეთში რუსული პოზიციების შესუსტებისთვის პირობებს ქმნის. აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მითითება მისცა მის მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებს, რომლებიც რუსეთის და სამხრეთ კავკასიის მიმართულებებზე მუშაობენ, რომ აფხაზეთში არსებული საეკლესიო სიტუაცია სისტემურად და აშშ–ისათვის ხელსაყრელ კონტექსტში გააშუქონ.

– კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ **„აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის“** აღიარება, აფხაზეთში კონსტანტინოპოლის მიერ ეპისკოპოსის ხელდასხმა ხელს შეუწყობს აფხაზი მორწმუნეების რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან მოწყვეტას. გარდა ამისა, ამ მიმართულებით სიტუაციის განვითარება უთუოდ შეურაცხყოფს რუსებს, რომლებიც 20 წელზე მეტია აფხაზებზე ზრუნავენ და საპასუხო მეგობრობის იმედი აქვთ. ეს რუსეთისგან აფხაზეთის დისტანცირებას და რუსულ–აფხაზური პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული ურთიერთობის გართულებას გამოიწვევს. საქართველო და მისი მოკავშირეები ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ ისარგებლონ შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით.

– კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართლმადიდებელი ეკლესიების თანასაზოგადოებაში ტრადიციულად **„თანასწორთა შორის პირველად“** ითვლება. კონსტანტინოპოლს ფორმალური უფლება აქვს, აფხაზეთის ეკლესიის **„დამოუკიდებლობა“** აღიაროს, საქართველოს, რუსეთის და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების პროტესტის მიუხედავად. თუმცა საქართველოს ამ თვალსაზრისით არაფერი ეშუქრება – სინამდვილეში აფხაზები საეკლესიო დამოუკიდებლობას არ მიიღებენ, რადგან კონსტანტინოპოლის საპატრიარქო გადაქცეულია საეკლესიო ინსტიტუტად ბუნდოვანი, უფრო სიმბოლური სტატუსით, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ანკარაზე. მნიშვნელოვანი სხვა რამ არის – კონსტანტინოპოლის საპატრიარქო თურქეთის – ნატოს წევრის იურისდიქციაში იმყოფება, აქედან გამომდინარე ყველა პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური ნიუანსით და უსაფრთხოების სფეროს საკითხებით.

– რეფორმირებულ **„ნაციონალურ მოძრაობას“** შანსი აქვს, აშშ-ის მხარდაჭერით ხელისუფლებაში დაბრუნდეს და საქართველოს ნატოში შესვლა დააჩქაროს. ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია **„ნაციონალების“** იმიჯის გაუმჯობესება, პარტიისთვის ეროვნული ინტერესებისთვის მებრძოლის ახალი შარავანდედის დადგმა. და აქ ეკლესიის საკითხმა შესაძლოა გადამწყვეტი როლი ითამაშოს. უშიშროების საბჭოს მდივნის ბოკერიას იდეით, ამერიკელი სენატორები მაკკეინი და ემაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობასთან ერთად, თავისი წევრის – თურქეთის მეშვეობით აუცილებელ ზეწოლას მოახდენენ კონსტანტინოპოლის პატრიარქზე, რათა მან, აფხაზეთში მის მიერ კონტროლირებადი ეპისკოპოსის და სხვა სასულიერო პირების გამოყენებით, აფხაზეთის ეკლესია საქართველოს ეკლესიის წიაღში დააბრუნოს. ამასთან, გამორიცხული არ არის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან აფხაზების გაერთიანება სრულფასოვანი ავტონომიის უფლებებით, რაც აფხაზებს **„მწარე აბს დაუტკბობს“**! ხალხს ამას მიაწოდებენ, როგორც ნატოში შესვლის პირველ სიკეთეს, რომელსაც მალე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც მოჰყვება.

– საქართველომ აუცილებლად ყველანაირად უნდა წაახალისოს აფხაზი მართლმადიდებელი სასულიერო პირების მისწრაფება მოსკოვის გავლენიდან გამოსვლისაკენ და მხარი დაუჭიროს აფხაზი ექსტრემისტების ჯგუფს, რომლებიც ამ პროექტის პოლიტიკურ რეალიზაციას უზრუნველყოფენ. თუმცა ამ საკითხში წარმატების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ამას საიდუმლოდ და ძალიან ფრთხილად გააკეთებენ, სასურველია – ევროპელი მოკავშირეების მეშვეობით, რომელთა მიერ აფხაზეთის სამოქალაქო სექტორში ჩამოყალიბებულ სტრუქტურებს აფხაზები ენდობიან.

საგულისხმოა, რომ საეკლესიო **„ავტოკეფალიის“** ხიბლში აფხაზების ჩათრევის დასახული გეგმის განხორციელებაში ძირითადი მამოძრავებელი ძალის როლი განკუთვნილია არა მამა დოროფეის (დბარი), არამედ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ხელდასხმული მამა დავითისთვის (სარსანია), რომელიც ბოლო მომენტამდე დბარის ჩრდილში უნდა იყოს, აფხაზეთის ეპისკოპოსის პოსტზე მისი ამბიციები გააღვივოს და, ამასთან, თავისი ქმედებების მჭიდრო კოორდინირება მოახდინოს კურატორებთან ევროპაში, და არამც და არამც – საქართველოში.

საქინფორმის ანალიტიკოსები, თვლიან, რომ სააკაშვილისა და მისი გუნდის მისწრაფება, მხარი დაუჭირონ აფხაზ საეკლესიო პირებს, განპირობებულია არა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთიანობისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილით, არამედ ვაშინგტონიდან მიღებული პირდაპირი მითითებით, რომელთა სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს რუსეთის გავლენის შესუსტება პოსტსაბჭოთა სივრცეში და განხეთქილების შეტანა მართლმადიდებლობაში.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ
2013 წლის 12 აგვისტო

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲕᲘᲖᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲔᲡ“

რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი შესაძლოა გამარტივდეს ან საერთოდ გაუქმდეს, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სააგენტო **„ამერიკის ხმისთვის“** მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

მისივე შეფასებით, მოკლე დროში რისი მიღწევაც შეიძლებოდა რუსეთთან ურთიერთობაში, უკვე მიღწეულია – კერძოდ, უკვე აღდგა სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები, რომლის გაღრმავება და გაფართოება შესაძლებელია.

“ვფიქრობ, რომ რეალისტურად რაც შეიძლება ამას მოჰყვეს, იქნება მუდმივი ავიარეისების აღდგენა. შესაძლოა, რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმი გამარტივდეს ან საერთოდ გაუქმდეს“, – განაცხადა პრემიერმა ივანიშვილმა.

“ამერიკის ხმის” მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელის ჯეიმს ბრუკის შეკითხვაზე, გამოიყენება თუ არა აფხაზეთი ბუფერად რუსეთთან ურთიერთობაში, ივანიშვილმა მიუგო, რომ რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს არანაირი ბუფერი არ სჭირდება, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთს, **„ერთადერთი გზა არის მეგობრული, ძმური, არც ერთ შემთხვევაში საუბრის დონეზეც კი ძალა არ უნდა იყოს ნახსენები“.**

ამასთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრას არც ძალიან ახლო და არც ძალიან შორეულ პერსპექტივად მიიჩნევს.

„ამას სჭირდება უფრო მეტი პოზიტივი, ორმხრივი ურთიერთობების უფრო მეტი სიზუსტით გათელვა. ამას სჭირდება დრო, თუმცა ჩვენი მხრიდან ამის მზაობა და სურვილი არსებობს”, – განაცხადა პრემიერმა.

ფაქტია, რომ ამ სიკეთით მეტწილად ქართველები ისარგებლებენ, რადგან დღეს რუსეთში ცხოვრობს და ოჯახებს არჩენს საქართველოდან სიღატაკეს გამოქცეული ერთ მილიონამდე საქართველოს მოქალაქე.

ᲡᲐᲙ.ᲘᲜᲤ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲨᲡᲡ–Მ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ 3 ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ

საქართველოს შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზუგდიდის რაიონში მოქმედი, თავისუფლების უკანონო აღკვეთაში და ძალადობის გამოყენების მუქარით დიდი ოდენობით ფულის გამოძალვაში ეჭვმიტანილ პირთა ჯგუფი დააკავეს. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის 20 მაისს გალის რაიონში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს ყაჩაღურად თავს დაესხა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 6 პირი, რომლებმაც სახლიდან გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი ძვირფასი ნივთები და მძევლად აიყვანეს ოჯახის ერთი წევრი, ხოლო გატაცების შემდეგ მოითხოვეს გამოსასყიდი თანხა 60 000 აშშ დოლარის ოდენობით. ოჯახის მხრიდან 20 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ მძევალი გაათავისუფლეს.

საქმეზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 2013 წლის 26 ივლისს ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს ხსენებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1978 წელს დაბ. **თ.ჯ.,** რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა გამოძალული თანხის ნაწილი და მძევლის ნივთები, ასევე მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია **“მაკაროვის”** სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდითა და რვა ვაზნით; 1979 წელს დაბ. **რ.ე.,** რომელსაც პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა გატაცებული პირის ოჯახისაგან გამოძალული თანხის ნაწილი და ნარკოტიკული საშუალება; 1978 წელს დაბ. **ჯ.ნ.,** რომლის პირადი ჩხრეკის შედეგად სამართალდამცველებმა ამოიღეს გამოძალული თანხის ნაწილი, ხოლო მის საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა.

მიმდინარეობს ოპერატიულ-საგამოძიებო და სამძებრო ღონისძიებები დანაშაულში მხილებული ჯგუფის სხვა წევრთა დასაკავებლად და მათ მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ფაქტების დასადგენად.

გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეზე სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის **„ბ“** ქვეპუნქტით აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს მთავარი საგამოძიებო სამმართველო.

ᲡᲐᲙ. ᲘᲜᲤ

“ბავშვებო, მე თქვენს გვერდით ვარ!” – *ქეთი ბანისტერი*

გასულ კვირას, **“ვერე სტეიქ ჰაუზში”** მოწყობილმა საქველმოქმედო აქციამ, ერთი წლის წინანდელი, მიუნხენში მოსმენილი საუბარი გამახსენა. ქართულ სალოცავში, კვირის წირვაზე მოსული ქართველი ქალბატონი წუხდა:

***– “ქართულ ტელეარხებს აქ, ისეც ხომ ძნელად ვიჭერთ, თუ დავიჭერთ და მაშინაც, უნიჭოდ გადმოქართულებულ, ევრო-ამერიკულ ტელეარხებზე გაცვეთილ, გადაცემებს გვიჩვენებენ! იმის ნაცვლად, რომ თავი მოვიწონოთ ქართული ტრადიციებით და გარესამყაროს ვაჩვენოთ ულამაზესი ქართული ბუნება, ქართული ცეკვები, მოვასმენინოთ სწორუპოვარი ქართული ფოლკლორი – ყოველად მიუღებელი “კიჩების” დოდი იმართება, სადაც, უცხოურზე მიბაძვით გასულელებული, ქართველი ტელეწამყვანები და მათი სტუმრები ცდილობენ, ისე წარუდგნენ მაყურებელს – “შემოგვხედეთ, ჩვენ რითი ვართ ევროპელებზე, ან ამერიკელებზე ნაკლებიო და (მოზრდილებს კისერიც უტეხიათ!..) ვულგარულად გაშიშვლებულ, მცირეწლოვან ბავშვებს უშვებენ სცენაზე!..*

მირჩევნია, ისევ, ოცი წლის წინანდელი, საქართველოდან წამოღებული მულტფილმები ვაჩვენო ბავშვებს და იქიდან მოისმინონ გამართული ქართული საუბარი, ქართული ენის მუსიკალურობა, ვიდრე გადმოჩიქორთულებული, ევრო-ამერიკული პრიმიტივიზმი, რომლისგანაც არაფერი რჩებათ სამახსოვრო, გარდა იმისა, რომ – სულაც არ არის თურმე აუცილებელი ბავშვი ოჯახში იზრდებოდეს, მთავარია იგი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს და კუჭის პრობლემები არ აწუხებდეს!...”

ამასწინანდელმა დილამ გამახსენა, ქართველი დედის ეს **“საჯარო აღსარება”,** როცა შოტლანდიიდან ჩამოსულმა, ქალბატონმა ნესტან ქობალიამ, ჭადრაკის სასახლეში მიმიწვია, მისი ქალიშვილის, პატარა ქეთის **“ნამუშევართა”** საქველმოქმედო, გაყიდვა-გამოფენაზე.

ქეთი ბანისტერი თბილისში დაიბადა და აქ აიდგა ენა ქართულ-ინგლისურად. სკოლაში კი, შოტლანდიაში მოუწია სწავლამ. თავიდან ძალიან უკვირდა – აქაური ბავშვები მარტო ინგლისურად ლაპარაკობენო!.. – მიყვება ქალბატონი ნესტანი.

ერთხელაც, ინტერნეტიდან **“გადმოქაჩული”** ქართული ტელეგადაცემის ნახვის შემდეგ, ქეთი მეკითხება – რა არის დედა **“შუმ”**?

ვიფიქრე, ალბათ ვერ გაარკვია ქართული გამოთქმა და პასუხი რომ არ მქონდა, თავიდან დავატრიალე ვიდეოფაილი... ვერც მე გავშიფრე **“შუმ”**. იძულებული გავხდი საქართველოში დამერეკა და განმიმარტეს:

“ეს აბრავიატურა, “შეზღუდული შესაძლებლობის მოქალაქეებს” ნიშნავს და ევრო-ამერიკელთა დახმარებით და თანადგომით, ამავე სახელწოდების, არასამთავრობო ორგანიზაციაც დაფუძნდაო. ისიც ამიხსნეს – იგი იმიტომ შეიქმნა, რომ, თურმე, შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები, უფლებაშეზღუდულები ყოფილან ქართულ საზოგადოებაში.”

დამზაფრა ამ განმარტებამ. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. როდის მერე გახდა ჩემი ჯიში და ჯილაგი დაუნდობელი და არშემწყალებელი-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე და კომპიუტერში მიკირკიტე ქეთის გადავხედე!

– დედა, დედა, მოდი, ნახე, რატომ ტიროდა ის ქალი, ბავშვის ლოგინთან რომ იჯდა? – რომ მკითხა ქეთიმ, გადავწყვიტე სიმართლე მეთქვა – შოტლანდიაში კი არა, საქართველოში არ ესმით, რატომ ტირიან ქართველი დედები, ოცდაორი წელიწადია, ბავშვის ლოგინთან!.. შვილს რომ შია, სწყურია, წამლის ფული რომ არ აქვს, იმიტომ ტიროდა ის ქალი!..

მაგრამ, არ დამაცადა ქეთიმ:

– დედა, მე ვიცი, ის ბავშვი ავად არის. საქართველოში რომ წავალთ წამალი ვუყიდოთ და წავუღოთ, კარგი?

გაოგნებული დავრჩი ეს რომ მითხრა. გულში ჩავიხუტე და ჩემი ჭკვიანი გოგო, ჩემი ცხოვრება-გოგო!.. ისევ არ დამასრულებინა ქეთიმ და განაგრძო – ჩვენს სკოლასთან ნახატებს და წიგნებს ყიდიან. იქ ბავშვებსაც გამოაქვთ თავიანთი ნახატები, ხომ გახსოვს?

– კი მახსოვს! მერე ქეთი?

– მერე, მეც გავიტან შაბათ-კვირას, ჩემს ნახატებს, მისალოც ბარათებს, და სათამაშოებს გასაყიდად. ხომ გამომყვები?

მოულოდნელობისგან პირი დავაღე და ვერაფერი ვთქვი.

– რა იყო, არ გამომყვები?

– გამოგყვები, როგორ არ გამოგყვები, მაგრამ იმ ფულს რა ვუქნათ, იქ რომ ვიშოვით?

გაოცებული შემომენთო – როგორ არ გახსოვს, ტელევიზორში ქალი რომ ტიროდა, იმის ბავშვს წამლები და საჩუქრები ვუყიდოთო!

ხმა ვერ ამოვიღე. ვიგრძენი, თვალებზე ცრემლები მომაწვა!.. და, ასე დავიწყეთ საქველმოქმედო აქცია **“ქეთი ეხმარება, ქართველ თანატოლებს”.**

პირველი **“ფუნტები”** შოტლანდიაში მოვაგროვეთ... დღეში სამჯერ ამოყრიდა ყულაბიდან ფულს და თავიდან ითვლიდა.

– ქეთი, ყოველდღე, სამჯერ რომ ითვლი მაგ ფულს, ასე ხომ არ მოემატება? – ვკითხე ერთხელ.

– როგორ არა, ყოველდღე ემატება, – ისე დაჯერებით მიპასუხა, შევცები და ვერაფერი ვუპასუხე!

მოგვიანებით გამოტყდა – ჯიბის ფულს ზოგავდა და ყულაბაში აგდებდა თურმე.

ქეთიმ, უამრავი ნახატი, მისალოცი ბარათი და სათამაშო (სკოლაში ასწავლიან მათ დამზადებას) დააგროვა. რაც იქ ვერ გავყიდეთ, აქ ჩამოიტანა და ჭადრაკის სასახლის პირველ სართულზე, რესტორან **“ვერე სთეიქ ჰაუზში”** ვაგრძელებთ საქველმოქმედო აქციას, ქეთის თანატოლებთან ერთად.

ყველა სტუმარმა, დიდი სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა ქველმოქმედებაში და საკმაოდ სოლიდური თანხა დააგროვეს ქეთიმ და მისმა ქართველმა თანატოლებმა, ირაკლიმ, ლიზიმ, სალომემ...

მეც მათთან ერთად ვიყავი იმ დღეს. გვიან საღამოს, როცა აქცია დამთავრებულად გამოცხადდა, მასპინძლებს **“ვერე სთეიქ ჰაუზის”** ხელმძღვანელობას, მადლობა მოუხადა პატარა ქეთი ბანისტერმა თანადგომისთვის და შოტლანდიასა და საქართველოში შეგროვილი თანხა **“ბერი ანდრიას სახელობის ფონდს”** გადასცა, კიბოთი დაავადებული ბავშვების სამკურნალოდ!

– უფალმა შეგიწიროთ, შვილო ქეთი და ღმერთმა ჰქმნას, მომავალში არავის დასჭირდეს მსგავსი თანადგომა. ყველა გამოჯანმრთელდეს, ყველა ჯანმრთელი მოევლინოს ამ ქვეყანას ამიერიდან! – თვალცრემლიანი ილოცებოდა და გულში იხუტებდა ქეთი ბანისტერს, შავებით მოსილი ქალბატონი, ვისი შვილის სახელსაც, საქველმოქმედო ფონდი ატარებს!

ყველა იქ დამსწრეებმა ერთხმად შევაწიეთ: ამინ!

დავით შოთაძე
კობლენცი, გერმანია

***P.S.** ახლაც თვალწინ მიდგას სიხარულისგან სახეგაბრწყინებული პატარა ქეთი ბანისტერი, ფონდის დამაარსებელ, შავებში მოსილ ქალბატონს საქველმოქმედო ყულაბა რომ გადასცა!*

იქვე დაითვალეს, ღვთისნიერ ადამიანთა შეწევნით მოგროვილი თანხა, რომელიც, იქნებ, ასევე ღვთის შეწევნით, სიციცხლეს შეუნარჩუნებს იმ პატარებს, ბერი ანდრიას ზეცად წასვლის შემდეგ, მისი ადგილი რომ დაიკავეს შავებგაუხდელი დედის გულში!

...და ბოლოს, ჩემდაუნებურად, წერილის დასაწყისში გამოტანილი, ქართველი დედის “საჯარო აღსარება” მახსენდება:

– პატარა ქეთის საქციელის შემხედვარეს, პოეტის თქმისა არ იყოს – “რა გვჭირს სხვისი მისაბაძი?!.”

გერმანიიდან, მცირე დროით ჩამოსულს, ერთი წუთითაც არ დამნანებია, რომ მთელი დღე ამ აქციას მოვახმარე, რადგან, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ქართული გენი, ასე იოლად დასამარცხებელი არ არის!

ომარ ჩიქობავას პოეზია

ხანმოკლე აღმოჩნდა ომარ ჩიქობავას სიცოცხლე – 47 წლის ასაკში მოულოდნელად აღესრულა ქალაქ პერმში, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა ოჯახთან ერთად.

ოთარმა წარჩინებით დაამთავრა წალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავას საშუალო სკოლა, მაგრამ, ვერა და ვერ მოახერხა დამკვიდრება საკუთარ ოდაბადეში და უცხო ქვეყანაში სცადა ცხოვრების გზის გაკვალვა.

უზომოდ უყვარდა სამშობლო, განიცდიდა მის ტკივილს, სოფლის იმედი იყო, ქართული სათვისტომოს გული გახლდათ ქალაქ პერმში, კაცურად იცხოვრა და იღვაწა, წარმატებული ბიზნესმენიც იყო, ქართული სულიერებით აღზარდა შვილები, შეაჯვარა შორს დარჩენილი სამშობლო.

ომარს მუზა არ ეშვებოდა და დარდის გასაქარვებლად ლექსებს უძღვნიდა წამებადქცეულ მახსოვრობას სიზმრადღა შემორჩენილ სამშობლოს. წერდა ყველგან და ყოველთვის: უბის წიგნაკში, ქაღალდის ნაგლეჯზე, ქაღალდის ხელსახოცზე... მისმა ოჯახმა ეს ნაწერები შეაგროვა და წიგნად გამოსცა, რომელსაც ეწოდება **“ნოსტალგია”**. ეს წიგნი-ასფურცელა გამსჭვალულია ჭეშმარიტი პოეტური სულით, სამშობლოს მონატრებით და ოდაბადესადმი უზომო სიყვარულით.

ომარ ჩიქობავა ალბათ ის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი გახლდათ, რომელიც სამ ენაზე წერდა ლექსებს.

გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

საქართველოს

საქართველოზე ოცნებებში
ჩამძინებია,
დამსიზმრებია სამშობლოში ჩემი
მეგზური.
მე საქართველოს ყველა კუთხე
დამსიზრებია,
ზოგჯერ თუში ვარ, ზოგჯერ –
ფშავი, ზოგჯერ – ხევსური.
ზოგჯერ სვანი ვარ, მახვშის მაღალ
კოშკებზე მჯდარი,
სამშობლოს საზღვრებს გად-
მომყურე არწივის თვალით,
ან კახელი ვარ – დარბაისელი,
დინჯი და წყნარი,
ანდა რაჭველი – თბილი პურით,
სუფთა ხნაჭკარით,
ზოგჯერ გურული – კრიმანჭულებს
ვმღერივარ ხმებში,
გონიოს სუნთქვით გამოზრდილი,
ვარ აჭარელი,
საქართველო ვარ, ქართლელებით
და იმერლებით,
ზოგჯერ ლაზი ვარ, გოლუაფირო,
ანდა მეგრელი,
მე ის კაცი ვარ, საქართველოვ,
შენით რომ ხარობს,
შენს იქით ჩემთვის არაფერი აღარ
არსებობს.
ოსიც, აფხაზიც, საქართველოვ, ჩუმ-
ჩუმად განატრობს...
ღმერთო, რამდენი შესძლებია ჩემს
საქართველოს!

მუშ მაჭიჭა...

მუშ მაჭიჭა ჩქინ სიცოცხლე,
გურმეჭვია ჩიტიჯგუა.
ეშმაკი კოჩს ხუჯს გილახე,
მინ ჯანმრთელ რე, მინს – უღუ
ჭკუა.
ქიდეკვირით, თე ცხოვრებაქ
მითინს ხომ ვეგიოსკიდუა,
შხვაშ მიდნაღელ ქონებაქ,
მაზაკვალქ ქიმნადირთუა.
ბრელს ოჭყორდუ სიცოცხლეს
ირკოჩ ბღურუთ ართი დროსი.
მინდურუას მთელ სოფელს,
ფიქრენს, ხვალე დოსკიდუნი.
იფრელ ითირუ ქიანას,
მითინ ვეუაფუ ირო.
ბოროშ მეტი მი თქუანს
დუდს ბგრძენენქია ირო ჯგირო.
სერს ოჭმარე თირანსუ დო,
დღაში კინე სერ შეხვადუ.
თუთას წანეფ გალუაფუ,
წამეფ წუთო გინმართაფუ.
დამორჩილს ზითინჯ თირანს,
ზოთონს გუშულირ ეწაბუ.
გვალაშ წვანდის თირ ინგარს,
ზარხულს დუშკურინუაფუ.
მშობლებს თირანს სკუალეფი,
გოღანერ დღას – ამდღანერი.
დღალეფ მეურს მიფაფუ,
ჩქით ვორეთი მაულარი.
ხოლო ჯგირი, გაჭირებას
ხიოლ თირანს კანკალეშა.
ჭვილი გურიშ წვალებას
დრო მკურნალენს თუდო გეხშა.

მიხეილ სააკაშვილი: „ჩვენი მოძრაობა ფენიქსივით აღდგენის პროცესშია!“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ახალი ენერგიით დაბრუნების პროცესი უკვე დაწყებულია, – ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა **„ნაციონალური მოძრაობისადმი“** საგანგებო მიმართვაში განაცხადა.

„დღეს ჩვენ ყველანი მზად ვართ, რომ ახალი ენერგიით, ახალი შემართებით მივმართოთ ჩვენს ხალხს და ვუთხრათ: ჩვენ ჩვენი სამშობლოს მებრძოლი შვილები ვართ, ჩვენი სამშობლოსადმი, ჩვენი ხალხისადმი უზომო სიყვარულით აღსავსე შვილები! ჩვენ ვიბრძოლებთ და სამშვიდობოს გავალთ იმ რწმენით, რომ ვართ ისტორიის სწორ მხარეს და რომ ამას ვაკეთებთ არა საკუთარი თავისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი შვილების საერთო მომავლისთვის. წარსული და რეგრესი, მიუხედავად ყველა მცდელობისა, ვერ ჩაანაცვლებს მომავალს და პროგრესს!.. ჩვენი მოძრაობა ფენიქსივით აღდგენის პროცესშია და ჩვენ ბოლომდე უნდა მივიყვანოთ ეს საქმე, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობა, მთლიანობა და ჩვენი ხალხის თავისუფლება ჰქვია!” – ნათქვამია სააკაშვილის მიმართვაში.

სააკაშვილის აღნიშნულ მიმართვას გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ სააკაშვილის მიერ ჩატარებული რებრენდინგი მარცხისთვისაა განწირული, რადგან ქართველმა ხალხმა ერთხელ უკვე ნახა მსგავსი რებრენდინგის შედეგი, როდესაც **„მოქალაქეთა კავშირის“** ბევრმა წევრმა იგივე ღირებულებებით **„ნაციონალურ მოძრაობაში“** გააგრძელა პოლიტიკური მოღვაწეობა.

სააკაშვილის ამგვარი უტიფრობის მიზეზი სწორედ ამერიკელთა მიერ თავსმოხვეული ის ავადსახსენებელი **“კოაბიტაცია”** გახლავთ, რომელიც უხეშად არღვევს ქართული საზოგადოების იურიდიულ და მოქალაქეობრივ უფლებებს და გვაიძულებს შევურიგდეთ ისეთ უსამართლობას, როგორიცაა დამნაშავე ნაცების დაუსჯელად პარპაში. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ როგორ აგდებულად ეპყრობიან ამერიკელები საქართველოს მოსახლეობას, ფეხებზე ჰკიდიათ ჩვენი მოქალაქეობრივი ღირსება და საკუთარი ინტერესების შესანარჩუნებლად არ გვაძლევენ იმ ბოროტი ძალების კანონიერად დასჯის საშუალებას, რომელიც თავადვე შემოთესლეს საქართველოში და თან, ცინიკურად, **“დემოკრატიის შუქურად”** შემოგვასაღეს!

საკ. ინფ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐ: „ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲐᲛᲓᲔ ᲛᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ? – ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ „ᲐᲠᲐᲡ“ ᲕᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲘ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲨᲔᲨᲚᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲔᲑᲝᲜᲐ! ᲛᲐᲑᲠᲐᲛ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ...“

როგორ შეიცვალა ამ წლების განმავლობაში განწყობა ქართულ საზოგადოებაში? რას ელოდებიან რუსეთისგან თბილისში, და ასევე ცხინვალსა და სოხუმში? როგორია რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შანსი? „საქართველოს მშვიდობისკენ იძულების ოპერაციად“ წოდებული 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ხუთი წლისთავის წინა დღეს ცნობილმა ქართველმა პოლიტიკოსმა და პოლიტოლოგმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსანდრე ჭაჭიამ ინტერვიუ მისცა რადიო „გოლოს როსიის“.

– შეიცვალა თუ არა ქართველი ხალხის დამოკიდებულება რუსების მიმართ „ხუთდღიანი ომის“ დამთავრებიდან 5 წლის შემდეგ? და თუ შეიცვალა, რაში ხედავთ ამის გამოვლინებას?

– რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებს, იმ ისტერიამ, რომელიც თან ახლდა ამ საომარ მოქმედებებს, რა თქმა უნდა, საზოგადოების რადაც ნაწილი შეცდომაში შეიყვანა. მერე ეს რადაცანაირად გასწორდა, იცით, იმიტომ რომ ხელისუფლება არასოდეს სარგებლობდა მოსახლეობის ნდობით. ყველაფერს, რასაც ხელისუფლება მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ამტკიცებდა, ხალხი საკმაო სკეფსისით აღიქვამდა. მითუმეტეს, 2008 წლის შემდეგ, როდესაც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ეს ომი მოგებულად გამოაცხადეს, როდესაც ხმაურიან ზეიმებს აწყობდნენ, მთელ მასობრივ შოუებს. მას შემდეგ, რაც მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა დაინგრა!

აშკარა იყო, რომ ომი, თუკი ამას საერთოდ შეიძლება ომი ეწოდოს, აბსოლუტურად წაგებულია. მერე ეს უკვე ირონიაში, დაცინვაში გადავიდა. და ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო იმას, რომ ადამიანებმა სიტუაციას საღი თვალით შეხედეს. მათ შორის რუსეთის როლს ამ მოვლენებში. მოლოდინი, რომ ეს მკვეთრად გააძლიერებს ანტირუსულ განწყობას ქართულ საზოგადოებაში, რუსოფობია გაჩნდება და ასე შემდეგ, არ გამართლდა. პირიქით, საღად მოაზროვნე ადამიანებმა ისეთი პოზიცია დაიკავეს, რომ საჭიროა ურთიერთობის რაც შეიძლება სწრაფად მოგვარება, ამ ფურცლის გადაშლა. და ამ თვალსაზრისით ძალიან სერიოზული მოლოდინი ჰქონდათ ბიძინა ივანიშვილისგან, ახალი ხელისუფლებისგან. რამდენადაც ის არანაირად არ მონაწილეობდა ამ მოვლენებში. ივანიშვილი ახალი ადამიანია, ის არც სისხლშია გასვრილი, არც გასული წლების ავანტიურებში. ის არაფერში მონაწილეობდა და ხალხმა ამიტომაც მისცა ხმა. იგი გახლავთ გაუსვრელი, სუფთა პოლიტიკოსი, რომელიც შეძლებს რუსეთთან ახალი ურთიერთობის აწყობას. იმ ძველის, კარგის აღდგენას, რაც იყო, და შემდგომ განვითარებას. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ მომხდარა.

– რადგან ივანიშვილი ვახსენეთ – ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. სააკაშვილი აღარ იქნება. და ბევრი ამას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის იმედს უკავშირებს. მართლაც რეალურია თუ არა ეს?

– არ იქნება სააკაშვილი, იქნება სხვა ვინმე. სამწუხაროდ, ივანიშვილის პოლიტიკურ ქცევაში, მის საკადრო პოლიტიკაში, იმაშიც კი, ვინ წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატად თავისი პარტიიდან, ეს კი მისი პირადი კანდიდატია, ამ ყველაფერში ვერ ვხედავ ურთიერთობის მოგვარების სურვილს, რათა ის ისეთი გახდეს, როგორიც უნდა იყოს. ხოლო თუ ივანიშვილი ხელისუფლებიდან წავა, სათავეში ის დაჯგუფება დარჩება, რომელსაც მთლიანად აკონტროლებს შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, აშშ-ის ელჩი, რომელიც საქართველოს რეალური მმართველია. ბუნებრივია, ისინი არანაირი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, ან რუსეთის ფედერაციასთან ახალი სახის ურთიერთობას არ დაუშვებენ. ასეთი რამ შეერთებული შტატების ინტერესებში არ შედის.

– საქართველომ მტკიცე კურსი აიღო ნატო-ში შესვლაზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეგობრული ურთიერთობა, უფრო ზუსტად, მისი პერსპექტივა, სამუდამოდ დაიმარხა? აისახება თუ არა ეს საქმიან ურთიერთობაზე?

– სრულიად აშკარაა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს **ნატო-ში** არავინ მიიღებს. ეს არც ამერიკელებს სჭირდებათ, არც ევროპელებს. ევროკავშირში შესვლაზე აღარაფერს ვამბობ. ეს უკვე ოცნება კი არა, ნამდვილი ფანტაზიაა. მაგრამ ამ თემის გამუდმებით მუსირება, ცხადია, ხელს არ უწყობს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას. რადგანაც ყველასათვის აშკარაა, რომ რუსეთს არ შეიძლება ხელს აძლევდეს საქართველოს **ნატო-ში** შესვლა. და რომ ეს საქართველოში **ნატო**-ს ეგიდით თურქეთის კონტინგენტის და დაზვერვის სამსახურების შემოსვლას ნიშნავს. ვფიქრობ, რუსეთს ეს მშვენივრად ესმის, ამიტომ ეს არ შეიძლება არ აღიზიანებდეს.

– თუკი ადრე ბევრს ლაპარაკობდნენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე, ახლა ეს საუბრები მიჩუმდა. როგორ ფიქრობთ, რასთან არის ეს დაკავშირებული?

– სამხრეთ ოსეთში ეს საუბრები გრძელდება, ვინაიდან რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ თავისი საქმიანობის მიზნად მიაჩნია ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. რაც შეეხება აფხაზეთს, იქ რუსეთის ფედერაციაში შესვლისკენ მიმართული ტენდენციები არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით ძლიერი. ლაპარაკი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა ექნება რუსეთთან. და ეს გასაგებია, რადგან სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, უბრალოდ, მომავალი არა აქვს – მეტისმეტად პატარა ტერიტორია, აქვს მეტისმეტად მცირერიცხოვანი მოსახლეობა, ინდუსტრიული პოტენციალი ფაქტობრივად არ გააჩნია. როგორ უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს იქ დამოუკიდებელი სახელმწიფო?

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ სხვა სიტუაციაა. აფხაზეთი ზღვისპირა რესპუბლიკაა და იქ არის რაღაც პერსპექტივა განვითარებისათვის. თუმცა, რუსეთის დახმარების გარეშე, რა თქმა უნდა, იქ არაფერი გამოვა. ჩემი აზრით, ამჟამად მეტად სახიფათოა მართლმადიდებელ მღვდლებს შორის განხეთქილების ტენდენცია. იქაური მართლმადიდებელი მღვდლების ორიენტაცია კონსტანტინოპოლის პატრიარქის სასარგებლოდ იცვლება და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენისაგან გასვლას ნიშნავს. აი, ეს პროცესებია იქ. ვფიქრობ, ისინი თანდათან გაძლიერდება. იმ შემთხვევაში, თუ როდისმე დადგება მომენტი, როდესაც კიდევ ათიოდე ქვეყანა აღიარებს აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ვფიქრობ, ერთ-ერთი ამ ქვეყანათაგანი თურქეთი იქნება. და მაშინ, უდავოდ, ის მონოპოლიური გავლენა რეგიონში, რომლითაც რუსეთი ახლა სარგებლობს, დამთავრდება. თურქეთი სერიოზულ კაპიტალს ჩადებს რეგიონში თავისი პოზიციების გასამყარებლად, რათა აფხაზეთში ყოფნით გააძლიეროს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე. ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ აფხაზეთში ჩნდება ხალხი და, ალბათ, გაიზრდება კონტინგენტი, რომელიც რუსეთის გავლენისაგან დისტანცირებას შეეცდება.

– როგორ მიგაჩნიათ, საქართველომ ამ ომიდან გაკვეთილი გამოიტანა? იქნება კიდევ საქართველოს მხრიდან ამ ტერიტორიების ხელყოფა?

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ტერიტორიის ძალისმიერი ხელყოფა აღარ იქნება. მე მგონი, სრულიად შეშლილი უნდა იყო, რომ იმის მერე, რაც მოხდა, კიდევ იფიქრო ძალისმიერ გავლენაზე. მეორე მხრივ, მე გარკვეული გამოცდილება მაქვს. როდესაც 2008 წლის ომამდე მეკითხებოდნენ, გამოიყენებს თუ არა სააკაშვილი ძალას სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, ყოველთვის **„არას“** ვამბობდი. იმიტომ რომ ამდენად შეშლილი არ მეგონა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოხდა. და აი ახლა ერთგვარი შიშით ვამბობ: არა, ეს შეუძლებელია. ამასთან, დღეს ვერ წარმომიდგენია ადამიანი, რომელიც საქართველოში ხელისუფლებაში მივიდოდა და, ამ გამოცდილებით, ასეთ ავანტიურაზე წავიდოდა.

მართალია, მოვლენებზე ძალისმიერ გავლენას არ ვვარაუდობ, მაგრამ საქართველოში დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დიალოგის გამართვის რაიმე მცდელობას ვერ ვხედავ.

მიმაჩნია, რომ მხარეებისთვის აუცილებელია ინტეგრაციული პროექტი, რომელიც საქართველოს აფხაზეთის გავლით რუსეთზე გასვლის შესაძლებლობას მისცემდა. ხოლო რუსეთს – აქეთ. იგივეა სამხრეთ ოსეთში. ეს უნდა იყოს ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული პროექტები, შემდეგ კი რაიმე პოლიტიკურიც. მაგრამ ეს საერთო სივრცე – რუსულ-აფხაზურ-ქართულ-ოსური – სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ღია უნდა იყოს. აი, ამაში ვხედავ საცხოვრებელ ადგილებში დევნილების დაბრუნების საწინდარს. და ამ რეგიონის მომავალ განვითარებას ასეთ პროცესებს ვუკავშირებ.

სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ჯერჯერობით ამ მიმართულებით ნაბიჯებს არ დგამს. იმ საკადრო პოლიტიკის შემხედვარე, რომელსაც ივანიშვილი ახორციელებს: მის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის, მინისტრების, რომლებიც მან დანიშნა – ვხედავ, რომ ეს არ არის მისთვის პრიორიტეტი, არ არის პრიორიტეტი დღევანდელი მთავრობისთვის. მე ეს დიდ შეცდომად მიმაჩნია.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ

“ᲡᲝᲛᲔᲗᲛᲐ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲡᲮᲐᲞᲐᲡᲮᲣᲞᲘᲗ ᲛᲝᲛᲘᲧᲕᲐ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲣᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲐ”

სომხეთში, ისტორიულად ქართულ ქობერის (ქობაირის) ტაძარში ფრესკებს რესტავრაციას სამი იტალიელი რესტავრატორი ქალი უტარებს. ამის შესახებ ინფორმაცია ისტორიკოსმა მთვარისა თარხნიშვილმა გაავრცელა, რომელიც სომხეთის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ლორედან ორი დღის წინ ახლახან დაბრუნდა. მისივე თქმით, ქობერში ტურისტულ ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა. ქობერის წმინდა გიორგის სახელობის XI საუკუნის ტაძრის მონახულებისას საკურთხეველში არსებული ფრესკების რესტავრაციაზე მხოლოდ სამი იტალიელი ქალბატონი დახვდათ. აი, რას ჰყვება ჩვენთან ინტერვიუში მთვარისა თარხნიშვილი:

– ორშაბათს ლორე-ტაშირში ჩემი მორიგი გასვლისას დავინახე, რომ ფრესკების რესტავრაციაა დაწყებული. მართალი გითხრათ, რესტავრაციები აქამდეც მინახავს, მაგალითად, სამრეკლო სომეხმა რესტავრატორებმა გააკეთეს, გავსაუბრებივარ კიდეც და მათი რესტავრაციის შედეგიც შემიმჩნევია, – სამრეკლოში სომხური ელემენტები მრავლად შეინიშნება, ეს ეხება ჩუქურთმებსაც. ის, რომ ქართულ ისტორიულ ძეგლს ძველი იერსახე დაკარგული აქვს, ადვილი შესამჩნევია. როდესაც ხელოსნებს გამოვესაუბრე, მითხრეს, რომ ერევნის დაფინანსებით მუშაობდნენ... ახლა, ბოლო ტურის დროს, საკურთხეველში სამი არასომხური შესახედაობის ქალბატონი შევნიშნე. იტალიელები აღმოჩნდნენ და მითხრეს, რომ ერევნის უნივერსიტეტის მოწვევით და დაფინანსებით მუშაობდნენ. როდესაც ვკითხე, იცით თუ არა ტაძრის ქართული წარმომავლობის შესახებ-მეთქი, მერე რაო, მიპასუხეს. საერთოდ, ლორე-ტაშირის ხეობა სასაზღვრო რაიონია და დროის სხვადასხვა მონაკვეთში რომელი ქვეყანაც გაიყოფდა, ის მხარე თავისებურად ცვლიდა. როდესაც საქართველო იყო ძლიერი ქვეყანა, ტაძარიც გაქართულებული და დიოფიზიტური იყო, და პირიქით... ამ ტერიტორიაზე პირველი სომხური ტაძარი XI საუკუნეშია აგებული, რომელიც სომეხ ბაგრატიონთა შთამომავლის მეფე კვირიკეს ასულ მარიამს აუშენებია. ტაძარზე არსებული სომხური წარწერების მიხედვით, მარიამი ამ მონასტრის წინამძღვარიც გამხდარა. თუმცა, იქვე არის დიდი ტაძარი, რომლის წარმომავლობაც ქართულია. ისიც ქობერს ეკუთვნის... წლების შემდგომ, ზაქარია მხარგრძელის რძალმა, შანშეს ცოლმა ეს ტერიტორია სომხებისგან იყიდა და იქ უკვე დიოფიზიტები გაძლიერდნენ. სწორედ მის პერიოდში, XIII საუკუნეში კიდევ ერთი ტაძარია აგებული (ფრესკები მაშინდელია), სადაც ამჟამად იტალიელი რესტავრატორები მუშაობენ. შესამჩნევად გასომხურებულია ოძუნის ტაძარი, ამ ტაძრის სამრეკლო პრაქტიკულად შეცვლილია. იქ ქართული ელემენტები თითქმის არ შეინიშნება... არადა ის, რომ ეს ტაძარი გიორგი მხარგრძელის აშენებულია, ამაზე ტაძარზე შემორჩენილი 1292 წლით დათარიღებული ძველქართული წარწერებიც მოწმობს.

– როგორი ვითარება დაგხვდათ ქობერში მას შემდეგ, რაც იქ იტალიელი რესტავრატორების ყოფნის ამბავი გახმაურდა, ისინი მუშაობას განაგრძობენ თუ შეაჩერეს?

– არა, არ მუშაობენ. ორი დღის წინ იქ ჩასულს იტალიელი რესტავრატორები არ დამხვდნენ, მაგრამ დაგვხვდა სომხური წარწერა: – ფრთხილად, მიმდინარეობს რესტავრაცია!.. ფრესკებზე მუშაობა ახალი დაწყებულია და არ ვიცი, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული დამკვეთსა და შემსრულებელს, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გაჩუმება არ შეიძლება და ზემოთ ამის არაერთი მაგალითი მოგიყვეთ... ვიცი, რომ კულტურის სამინისტროს დელეგაცია იყო ჩასული და გარკვეული შეთანხმება მოხდა. თუმცა, რაზე შეთანხმდნენ, არ ვიცი... აუცილებელია, რომ ამაში სპეციალისტები ჩაერთონ. ამ ისტორიული ძეგლების შენარჩუნება სწორედ ამ გზით შეიძლება.

– ხშირად დადიხართ სომხეთში, მსგავსი ფაქტები ადრეც შეგხვედრიათ?

– საკმაოდ. ამას წინათ ვნახე ჰნევანქი, ქართულად ამ ისტორიულ ძეგლს **“ძელი ჭეშმარიტებისა”** ჰქვია. ეს ძეგლი საგულდაგულოდ არის გასომხურებული. სავალალო მდგომარეობაა ოძუნში. როდესაც იქ მოღვაწე სომეხ სასულიერო პირს გავესაუბრე, გაოცებული დავრჩი, ქართული ტაძრის ისტორია, თარიღების მიხედვით სხაპასხუპით მომიყვა, ოღონდ ქართველი არც უხსენებია; ყველაფერი სომხებს მიაწერეს, თითქოს, ქართველს არათუ არ აუგია, არც არასდროს უმსახურია...

გაჩუმება კარგს არაფერს მოგვიტანს!

Ლ. ᲞᲐᲞᲐᲡᲙᲘᲠᲘ

ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲘᲚᲘᲐ II** დალოცავს **ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ-ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲔᲑᲘᲡ** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ᲚᲘᲑᲔᲠᲗᲘ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ”** გახსნილია ანგარიში. **ᲛᲨᲝ 220101480 ᲐᲜᲒ. №GE44LB0711101664171640 (ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐ).**

ამბები სამეგრელოდან

დახმარება სოციალურად დაუცველს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალაბასთუმანში სოციალურად დაუცველი ქადარიების ოჯახის მცირეწლოვანი წევრი 11 წლის ფიქრია ავარიული საცხოვრებელი სახლის აივნიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. 25 ივლისს გამგებლის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა გიზო სართანიამ გოგონა მოინახულა.

ქადარიების ოჯახი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურიდან პერიოდულად სხვადასხვა სახის დახმარებას ღებულობს. გოგონას საავადმყოფოში სამედიცინო მომსახურება საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში სრულად გაეწია.

გიზო სართანია სოციალურად დაუცველ ოჯახს დანიის ლტოლვილთა საბჭოსთან შუამდგომლობას დაპირდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა მომავალშიც პერიოდულად დაეხმარება სოციალურად დაუცველ ქადარიების ოჯახს.

ზუგდიდის (ქალაქის) ტერიტორიაზე არსებულ უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებელი ადგილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“46 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით:

ზუგდიდის ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ უბნებში საარჩევნო საუბიექტების სარეკლამო პლაკატებისათვის განთავსდეს სააგიტაციო სტენდები შემდეგ ადგილებზე:

ა) ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია (ც. დადიანის ქუჩა);

ბ) რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია (ქუჯის ქუჩა);

გ) აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია (გულუას ქუჩა);

დ) სავაჭრო ცენტრ **„ალიანსის“** მიმდებარე ტერიტორია (მარცხენა სანაპიროს ქუჩა);

ე) საკონსერვო ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (თამარ მეფის ქუჩა);

ვ) უნივერსიტეტის და ფაიფურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორია (ი.ჭავჭავაძის ქუჩა);

ზ) შ.პ.ს **„ავტოსადგური“**-ს წინამდებარე მოედანი (ბერიას ქუჩის დასაწყისი).

მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია ზუგდიდში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე შოთა მურღულია საგანგებოდ ზუგდიდს სტუმრობდა. მინისტრის მოადგილემ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ედიშერ თოლორაიასთან ერთად სტიქიის შედეგად დატბორილი სოფლები მოინახულა და დაზარალებულ ოჯახებს შეხვდა. სტუმარმა დაათვალიერა მდინარე ჯუმის მიმდებარე ტერიტორია. ადიდებულმა მდინარე ჯუმმა მნიშვენლოვანი ზარალი მიაყენა ზუგდიდის რაიონის სოფელ დიდინეძის მოსახლეობას. წყლის დონე სოფლის მაცხოვრებლების საცხოვრებელ სახლებში 1მ.-სა და 50სმ-ს აღწევდა. მინისტრის მოადგილე დიდინეძის ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და პირადად ადგილზე გაეცნო სტიქიისგან შექმნილ ვითარებას. როგორც შოთა მურღულიამ ადგილობრივებთან საუბარში განაცხადა უახლოეს დღეებში თბილისიდან ჩამოვლენ ნაპირსამაგრი სამუშაოების მწარმოებელი ჯგუფები და დაიწყება მდინარე ჯუმის ნაპირსამაგრის პროექტის შედგენა. ედიშერ თოლორაიას – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით კი მიმდინარეობს სოფლებში ზარალის დამთვლელი კომისიის მუშაობა და თითოეული ოჯახი მიღებს ზარალის შესაბამის ანაზღაურებას, რომელიც სტიქიის შედეგად მიადგათ. მინისტრის მოადგილემ განმუხურის აკვაპარკიც დაათვალიერა, რომელიც სრულ მზადყოფნაშია საზაფხულო სეზონისთვის.

მინისტრი სენაკში

28 ივლისს სენაკის მუნიციპალიტეტს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დავით დარახველიძე ესტუმრა. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ხაბურზანია სტუმართან ერთად კომპაქტურად ჩასახლებულ რამოდენიმე ობიექტს ესტუმრა. მინისტრი ადგილზე გაეცნო დევნილების პრობლემებს და საჭიროებებს. სენაკის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ჩასახლებებში საკმაოდ მძიმე ვითარებაა, თუმცა დევნილები იმედიანად არიან და ახალი ხელისუფლებისაგან მხარდაჭერას ელიან. მათ უკან საკმაოდ მძიმე პირობებია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის რომ დევნილებს პირობები შევუმსუბუქოთ – აღნიშნა მინისტრმა დავით დარახველიძემ დევნილებთან შეხვედრისას.

სამადლობელი პარაკლისი საკათედრო ტაძარში

ფოთის იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა აღავლინა სამადლობელი პარაკლისი იმ ადამიანებისთვის ვინაც წვლილი შეიტანა საკათედრო ტაძრის მშენებლობა-რეკონსტრუქციაში. მიტროპოლიტმა თითოეულ მათგანს ჯილდოდ გადასცა სამადლობელი სიგელი.

ფოთელ მხატვართა ნამუშევრების საზაფხულო გამოფენა

ფოთის საგამოფენო დარბაზში ცამეტ ფოთელ მხატვართა ნამუშევრები გამოიფინა. ნამუშევრები შესრულებულია თექაზე, ტილოზე. გარდა ფერწერული ტილოებისა ასევე გამოიფინა სკულპტურული ნამუშევრები. გამოფენაში მონაწილეობა დამწყებმა მხატვრებმაც მიიღეს. დაახლოებით გამოიფინა 50-მდე ნამუშევარი. გამოფენა გაგრძელდება თვის ბოლომდე.

ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს გადასარჩენად, ანუ თავისუფლების წყურვილით, რწმენით მივიდეთ არჩევნებზე!

საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ჯერ კიდევ მაშინ გაეცნენ დიდი ინტერესით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომს **“საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა”,** როცა საქართველოს სათავეში ედუარდ შევარდნაძე იდგა, შემდეგ კი იგი მიხეილ სააკაშვილმა ჩაანაცვლა. მაშინ მხოლოდ შორმჭვრეტელმა და სამშობლოს ბედით დაინტერესებულმა ადამიანებმა მიიტანეს გულთან ახლოს ღრმად ანალიტიკური, ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებული მოღვაწის ნაშრომის დედააზრი. ცხრა წლის განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა თუ წარუმატებლობამ დააფიქრა ავტორი და მისი ახლანდელი პუბლიკაციები იმის იმედს გვინერგავს, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ავაშენოთ ჩვენთვის საოცნებო საქართველო. ეს წერილებია: **“აგვისტოს ომი იყო თავდაჯერებული და დაუსჯელობით გათავხედებული არამზადების სისხლიანი ავანტიურა”, “ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია“ და “თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს, დავიღუპებით”.**

პუბლიკაციებში გაკრთა იმედის ნაპერწკალი და ალი აინთო.

როგორ აღიქმება მკითხველებში ეს შეგონება?

ქართველი ერის მისწრაფებათა საწინააღმდეგოა ნაციონალთა ჩიჩინი იმის თაობაზე, რომ უნდა უარვყოთ ათასწლოვანი ტრადიციები, მართლმადიდებლობა, ქრისტიანული მორალი და ზნეობა და მონური მორჩილებით ვითმინოთ **“დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების”** დაცვის ნიღბით სახეშემკული და დასავლურ ღირებულებებში გამოწრთობილი **“ნაცმოძრაობის”** პარპაში... რეალურად კი ეს გახლდათ არაქართველ მოძალადე მიზანთროპთა მიერ ფეხქვეშ გათელილი ქართველი კაცის ღირსება, ქართველი ერის დაფრთხობა და მისთვის თავ-გზის აბნევა...

მაინც, რა ხდება ჩვენს თავს? რატომ გააქტიურდა მოსახლეობის მცირე, სამარცხვინო, ყოვლად გამოუსადეგარი ნაწილი, რომელთაც სურთ დემოკრატიის ნორმად აქციონ კაცის კაცზე და ქალის ქალზე დაქორწინება, მათი **“მამობისა”** და **“დედობის”** აღიარებით მომავალი თაობების სულიერად დამახინჯება?

გონს მოვეგოთ, ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოში ევროამერიკელთა მიერ შემოგდებული სიბინძურე, რაც გამოიხატება გეი-აღლუმების მოწყობასა და ერთსქსიანთა ქორწინების დაკანონებაში, მიზნად ისახავს ქართველი ერის დაკნინებასა და გადაგვარებას, მისი ისტორიული ფესვებიდან მოწყვეტას, ჯანსაღი შთამომავლობის აღკვეთას, რჩეული ვაჟკაცების დასაჭურისებას, ქართველი ქალის, როგორც დედის როლის დაკნინებას!

მტერი ყოველი მხრიდან უტევს საქართველოს, უყიდის ისედაც მცირე მიწაწყალს, შაგრენის ტყავივით აპატარავებს მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, სააკაშვილის მიერ შემოგდებული **“სინგაპურიზაცია”** კი გახლავთ საქართველოს განადგურების ვერაგული გეგმა, რომელიც ამერიკაში მცხოვრებ სომეხ მილიარდერ დაშნაკთა მახინჯი აზრებით გამოტენილ თავებშია მომწიფებული.

ვფიქრობთ კი იმაზე, სად არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, ვის უნდა მივანდოთ ერის ბედი ამ გადამწყვეტ ჟამს? განა სრული ჭეშმარიტება არ გახლავთ დღევანდელი საზოგადოების მოწოდება იმის თაობაზე, რომ ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტობაზე?! ეს პიროვნება ხომ დაჯილდოებულია სათანადო ნიჭითა და გონებით, პრაქტიკულ საკითხებში ღრმად წვდომის უნარით. იგი არის გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მას შეუძლია, სხვებზე უფრო, მეტად აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთან საერთო ენის გამონახვა.

ბატონი ალექსანდრე ჭაჭია აუცილებლად უნდა ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში!

და კიდევ ერთი: ვინ დააფასა საქართველოს დამოუკიდებლობას ზვარაკად შეწირული საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დამსახურებები ერისა და ქვეყნის წინაშე?

დიახ – ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, რომელმაც ქალაქ ზუგდიდში ძეგლი დაუდგა საქართველოს ეროვნულ გმირს და მით განადიდა ზვიად გამსახურდიას სახელი!

ნაპოლეონ ბერბედავა,
განათლების დამსახურებული მუშაკი,
დევნილი აფხაზეთიდან

პოეზიის კუთხე

ხოხუ

ცოტნეს, ცოტნეს მიქ მურკაპუ
ღოლი, ღვაჭამ კიბირით?!
ემერ, ქართის გილახვალუნს
ლაბანიძე ხინძირი...
...ოსირქოლუდ ბერიას,
ირთუდ მუჭოთ ჩერია,
დოცვილესი ბერია
– გოჩირხონდგ ჩერიაქ...
უკულ ქაჩამ დადიას,
ნამუს? – ცოტნე დადიას:
უშქურანჯი ვარდია,
სი ჩქინ ჯიმა ვარდია...
კოლხურ ნინას ურკაპუანს,
კოლხმოჯოგე ჩიჩიე
ხოხუქ მუდგა ჭარასგნი
ვადირ, ბრელი იჩიე...
ცოტნექ ცოტნეთ ქგდოსქიდგ,
ბრელ ჭარეს დო იჭარუ,
ჩქინ ცოტნეში ბოშკოჩანა
ხოხუს ვეგიასისმარუ...

ქუაშ თუალა

“მა დობღურ და, ქუას უთუდასგ”...
შურ მენტებდას, ბღურუდე,
ვამოხვარდას მუთუნ და
ვეკომიოლგ, ჩქიმ უკული,
უკულ ქუას უთუდასგ!..

მალას

შურიშ ეშალაფაშა,
მუ – ამდღა დო მუ – ჭუმე,
ბძირუნთ ლაზ დო მარგალემს
ართო ეკოღურჭულერს...

რამაზ კუპრა

საქინფორმი მოითხოვს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ბოიკოტს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის გამო! მიმართვა საქართველოს მთავარ პროკურორს და მოქალაქეებს, რომლებიც ლესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები არ გამხდარან!

2013 წლის 27 ივლისს, დილით, 08:40-დან 09:00-მდე, ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-მა აჩვენა ამერიკული ტელეარხი MTV-ს თოქ-შოუ „ROOM RAIDERS“ ქართულ ენაზე სინქრონული თარგმანით.

ცნობისათვის: ამერიკული თოქშოუ **„ROOM RAIDERS“** ნიშნავს **„ოთახებზე მონადირეებს“**, მაძიებლებს, რომლებიც ოთახებს ჩხრეკენ. შოუ ასე იწყება: თავდაპირველად ვაჟი ან გოგონა ტელეკამერის წინ თავისი **“ღირსებების“** (მკერდი, უკანალი და სხვ.) დემონსტრირებას ახდენს და საკუთარ თავზე ყვება (სტენფორდის უნივერსიტეტში ვსწავლობ, ავღანეთში ვომობდი და ა.შ.), მერე კი საპირისპირო სქესის სამი **„მსხვერპლის“** ოთახების გასაჩხრეკად მიდის. **„მსხვერპლები“** არიან ვაჟები ან გოგონები, რომლებსაც დილით, ვითომდა, მოულოდნელად საკუთარი ოთახებიდან, პირდაპირ ლოგინიდან **„იტაცებენ„** და ასე, ნახევრად შიშვლებს, ავტოფურგონის უკანა ნაკვეთურში შეაგდებენ. მერე კი ავტოფურგონში დამონტაჟებულ მონიტორებზე ისინი აკვირდებიან, როგორ ჩხრეკს **„მონადირე“** მათ ოთახებს, კომპიუტერში იქექება, საცვლებს ბურჯგნის, ტუმბოდან ფალოიმიტატორს იღებს ან საწოლის ქვეშიდან ნახმარი პრეზერვატივები გამოაქვს (აი, თურმე, საიდან მოდის სააკაშვილ–მერაბიშვილის ნაციონალთა სიყვარული ფარული ვიდეოგადაღებებისადმი!).

რომელი ოთახიც ყველაზე მეტად მოეწონება **„მონადირე“** ვაჟს ან გოგონას, მისი მფლობელი ბრმად იქნება მიწვეული მასთან **„პაემანზე“** – ღამის გასატარებლად...

მაგრამ გასულ შაბათს, 2013 წლის 27 ივლისს, დილით, 08:40-დან 09:00-მდე, სწორედ იმ დროს, როცა ტელეარხები ჩვენს ბავშვებს, ჩვეულებრივ, მულტფილმებს უჩვენებენ, ტელეკომპანია **„რუსთავი 2“**-მა აჩვენა ამერიკული ტელეარხი **MTV-ს** თოქშოუ **„ROOM RAIDERS“**, რომლის გმირები ერთი გაურკვეველი სქესისა იყვნენ – ამჯერად მასში ჰომოსექსუალები მონაწილეობდნენ, რომლებიც ყვებოდნენ – თურმე, რა მაგარია, როცა ნამდვილი ჰომოსექსუალი ხარ, ყვებოდნენ დანარჩენებზე თავიანთი უპირატესობის შესახებ და, პრაქტიკულად, აგიტაციას უწევდნენ ჩვენს ბავშვებს, რომ ისეთებივე გახდნენ, როგორც ისინი, თუ სურთ, ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიონ და საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყვნენ! ეს ყველაფერი მათი ამაზრზენი ნატურალისტური ჟესტების თანხლებით ხდებოდა...

ამას მოჰყვა **„მონადირის“** შეძახილი – **„ერთ-ერთი თქვენგანი დღეს ჩემთან ერთად წამოვა!“** და მათი ოთახების ჩხრეკა, ტრუსების და სხვა ინტიმური ნივთების დემონსტრირებით...

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქინფორმი საგანგებოდ მიმართავს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომლებიც არ გამხდარან **ლგბტ** (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი), ყველა პოლიტიკურ პარტიას და საქართველოს მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს მოთხოვნით:

1. ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და მართლმადიდებლების, ჰეტეროსექსუალების და არასრულწლოვანი ბავშვების უფლებების შელახვის ფაქტზე სასწრაფოდ აღიძრას საქმე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ და დამნაშავეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისგებაში იქნენ მიცემული;

2. მხარი დაუჭირონ ამ მოთხოვნას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახელზე შედგენილ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვებით, მედიაში გამოსვლებით და სოციალურ ქსელებში აქტიურობით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შენობასთან საპროტესტო აქციის ჩათვლით.

ბეჭდური, რადიო და ტელემედიის ხელმძღვანელები, რომლებიც თავიანთი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს, რადიო და ტელეეთერს არ დაუთმობენ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის „ბოიკოტი რუსთავი 2-ს!“ წარმომადგენლებს – ლგბტ-ს, ჩვენი შვილების გარყვნის და საქართველოს საბოლოო განადგურების მომხრეებად ჩაითვლებიან!

არნო ხიდირბეგიშვილი,
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

წარსულის გახსენება

უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი

სამურზაყანოს მაზრაში რევოლუციური მოძრაობის დამწყები და ხელმძღვანელი გახლდათ პავლე ძიგუა.

პავლე ექვთიმეს ძე ძიგუა დაიბადა 1885 წელს, სამურზაყანოს მაზრის სოფელ საბერიოში (ოფატე), უმიწაწყლო გლეხის ოჯახში.

პავლეს დედ-მამას ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდათ. პავლემ მხოლოდ ოთხი კლასი დაამთავრა. უმიწობამ და უკიდურესმა სიღარიბემ აიძულა ძიგუების ოჯახი ამავე მაზრის ქვემო ზონაში – სოფელ რეფო-შეშელეთში გადმოსახლებულიყვნენ, მაგრამ ისინი ვერც ახალ სამოსახლოში ეზიარნენ ბედნიერებას და კვლავ სიდუხჭირეში აღმოჩნდნენ.

პავლე გახლდათ ჯანღონით სავსე მამაკაცი, ლამაზი შავი თმები ჰქონდა და კოხტა სახეს ასევე ლამაზი ულვაშები უმშვენებდნენ. მან ბავშვობიდანვე ირგუნა მშრომელი გლეხკაცის მძიმე ხვედრი, დიდი ოფლისღვრის ფასად შოულობდა ლუკმაპურს, მაშინ, როცა მისი დამქირავებლები დღედაღამ დროსტარებაში იყვნენ. სწორედ ამგვარმა უთანასწორობამ და უსამართლობამ გაუღვიძა ჯერ კიდევ ბავშვს დიდი სიძულვილი ექსპლუატატორების მიმართ. არც საბერიოს ბობოლა წურბელებს ეხატათ გულზე მათ წინააღმდეგ ღიად და უშიშრად ამხედრებული ახალგაზრდა, ამიტომაც, მაზრის ხელმძღვანელობას ქრთამად საკმაოდ დიდი თანხა შეაძლიეს და ხანგრძლივი ვადით ჯარში გააწვევინეს პავლე ძიგუა. რეაქციის პერიოდში მან ოთხი წელი გაატარა კიევში, სადაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჯარის ნაწილებში გაჩაღებულმა ბოლშევიკურმა აგიტაციამ.

პავლეს 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ პეტერბურგში მოუსწრო, რა დროსაც კომპარტიის რიგებში შევიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პავლე თავის მაზრას დაუბრუნდა, ირგვლივ შემოიკრიბა თანამოაზრეები და სათავეში ჩაუდგა წინააღმდეგობის მოძრაობას სამურზაყანოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

იმ დროისათვის რევოლუციურ ბირთვს ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები წარმოადგენდნენ, რომლებიც პავლემ ერთ ჯგუფად გააერთიანა, ადგილზე მოაწყო უჯრედები და მთლიანად გადაახალისა ბოლშევიკური ორგანიზაცია. პავლე ძიგუას ინიციატივით სოფელ ნაბაკევში და დაბა გალში ჩატარდა წითელრაზმელთა შეკრება, სადაც დაისახა შეიარაღებული ამბოხების კონკრეტული გეგმა.

1918 წლის 9 თებერვალს გალში მოწვეულ იქნა სამურზაყანოს მაზრის მშრომელთა წარმომადგენლების საერთო კრება, რომლის ჩაშლა მოიწადინეს მენშევიკთა შეიარაღებულმა რაზმებმა, და საკუთარი დეპუტაცია მიავლინეს, მაგრამ მენშევიკები ვერაფერს გახდნენ და იძულებული შეიქმნენ სხდომა სამარცხვინოდ დაეტოვებინათ.

აფხაზი ბოლშევიკები ნ. ლაკობა, ე. ეშბა და მათი თანამებრძოლები მედგრად ებრძოდნენ ბურჟუაზიულ ნაციონალებს მთელს აფხაზეთში. სწორედ მათი ძალისხმევით, 1918 წლის 1 მარტს, გაგრაში, 8 აპრილს კი – სოხუმში, გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. ამან გამოაცოცხლა პარტიზანული მოძრაობა მთელ აფხაზეთში და 1918 წლის 11 აპრილს დაბა გალში თავი მოიყარეს შეიარაღებულ ბოლშევიკთა რაზმებმა პავლე ძიგუას მეთაურობით. აქვე იყვნენ მენშევიკებიც, რომელთა დემაგოგიურმა გამოსვლებმა კვლავაც კრახი განიცადა და კრებიდან გაძევებულ იქნენ. მუშათა წარმომადგენლობის კრებაზე არჩეულ იქნა სამურზაყანოს უბნის მშრომელ გლეხთა დეპუტატების საბჭო პავლე ძიგუას თავმჯდომარეობით. ამის შემდეგ მთელი ძალაუფლება ფაქტიურად ბოლშევიკების ხელში გადავიდა. შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ხელმძღვანელობისათვის სოფელ რეფო-შეშელეთში შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელშიც შევიდნენ ნ. სვანიძე, ვ. შონია, კ. თორია, ს. ბასარია, ნ. ბოკუჩავა, ა. გაბლია, ე. გვაძაბია, თ. გითოლენდია, გ. ჯგუბურია, თ. ჯობავა, ი. ძიგუა, ი. იზორია, ან. გამახარია, ნ. მიქაია, ი. უბილავა, ი. თაკალანძე, ი. ხაბურზანია, დ. ეხვაია, ა. ძიგუა, ზ. ლაბახუა, თ. ჩიკვატია და სხვები.

მაგრამ, ამ დროს არც მენშევიკებს ეძინათ ყურზე და მძლავრი სამხედრო შეტევებით მათ თითქმის მოახერხეს აფხაზეთის რევოლუციური კერების დროებით ჩაქრობა.

საბჭოთა ხელისუფლება სამურზაყანოში, ექვსი თვის არსებობის შემდეგ, დროებით დამარცხდა. მენშევიკებმა აქ კვლავ ადადგინეს თავად-აზნაურობისა და კულაკების ბატონობა, მაგრამ მათი პარპაში დიდხანს არ გაგრძელებულა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, აფხაზეთში მაინც შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც მშრომელებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდა. ფეხზე დადგა სამურზაყანოს, გუდაუთისა და გაგრის რევოლუციური მებრძოლი რაზმები და 1921 წლის 4 მარტს სოხუმში ბოლშევიკები შევიდნენ, რა დროიდანაც აფხაზეთში დაიწყო ახალი აღმშენებლობის ერა.

სწორედ ამ გამარჯვებას შესწირა თავი პავლე ძიგუამ, რომელსაც მადლიერმა შთამომავლობამ ძეგლი დაუდგა გალის რაიონის მშობლიურ სოფელ რეფო-შეშელეთში და დღესაც სათუთად ინახავს მის ხსოვნას.

ლავრენტი ბერაძე,
გალის რაიონის უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე

გაზეთ “ილორის” რედაქციას

ღრმად პატივცემულო რედაქციავ!

მინდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული და, ამავდროულად, დიდი პატივისცემა იმ ადამიანისადმი, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი გასაჭირი და მომავლისადმი რწმენა შემძინა.

ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დაინიშნა ბატონი დავით დარახველიძე. 2012 წლის ოქტომბრამდე არაერთხელ ვეცადე, რომ, როგორც უბინაო და სოციალურად დაუცავი დევნილი მიღებაზე მოვხვედრილიყავი ყოფილ მინისტრთან, მაგრამ მან ვერასოდეს მოიცალა ჩემთვის... დარახველიძის მისაღებში კი წავიკითხე, რომ მინისტრს მიღება ჰქონდა ყოველ სამშაბათს. იქვე იყო მითითებული ტელეფონის ნომერიც, რათა წინასწარ ჩავწერილიყავი მიღებაზე. ყოველივე ეს ჩვეულებრივ ჩინოვნიკურ **“ყურადღების გამოვლენად“** მივიჩნიე, მაგრამ მაინც დავრეკე ტელეფონზე და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა გარკვეულ დროს დამიბარეს მინისტრთან მიღებაზე.

“ურწმუნო თომად“ ნუ ჩამთვლით, მაგრამ ვიდრე მინისტრის კაბინეტში არ შევედი, არ მეჯერა, რომ მასთან მოხვედრას და პირისპირ საუბარს შევძლებდი. მან კი მისხალ-მისხალ გამომკითხა ყველაფერი და დოკუმენტურად დაადასტურა თავისი შეპირება ჩემთვის სათანადო საყოფაცხოვრებო გარემოს შექმნის თაობაზე. მოხდა ის, რასაც ოცი წელიწადი ვერ ვედირსე ყოფილ ხელისუფალთა ხელში!

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ მინისტრს დავით დარახველიძეს და მივმართო მას დიდი ვაჟას სიტყვებით:

მადლობელი ვართ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა,
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხო ზენამა.

ციალა გოშუა,
დევნილი სოხუმიდან

გოდება სანგრებთან

ამონარიდი უბის წიგნაკიდან, ნანახი და განცდილი ჩანართებით

– ჯარში ხარ ნამყოფი, ზაზა?..

– კი... რუსის ჯარში!

– სად იბრძოდი?.. კოდორის ხეობაში?

– ყველგან!..

– ზაზა, იფიქრებდი, რომ კაცს ტყვიას ესროდი?

– ტყუილი რომ ვთქვა, ღმერთი არ მაპატიებს... თუ დედას შემაგინებდნენ, ალბათ, კი!..

– ძნელია?

– გააჩნია!.. თავიდან არ მიფიქრია, თუ ვინმეს ვესროდი, მარა...

– გაგრაშიც?..

– ხო, გაგრაში... – ზაზა შეჩერდა და... კარგა ხანს აქ არ არის.

მეც არ ვუშლი გარინდებას.

– გაგრამ გადამრია... გაგრამ!..

– რა იყო ზაზა?..

– საშინელება!..

– ბევრნი დაიხოცნენ ჩვენები?

– დახოცვაში არ არის საქმე...

– ამბობენ, ქართველების მოჭრილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენო...

– აფხაზები და ქართველები ღვიძლი ძმები არიანო, გამიგონია მე... მაგრამ არც ამაშია საქმე... საშინელება იყო, საშინელება!..

ვდუმვართ.

– რამდენიმეჯერ დაზვერვაზე ვარ ნამყოფი... გაგრაში!

კვლავ ვდუმვართ. ზაზა შორს, ძალიან შორს იცქირება და ვხედავ, როგორ ეცვლება ფერი სახეზე...

– ფეხებით ჩამოკიდეს!.. – თითქოს თავისთვის ლაპარაკობს ზაზა.

– თავები წააჭრეს... – ხლუქუნის მაგვარი ხმა აღმოხდა ზაზას და ჭადარს მიეყრდნო...

– პეშვს უშვერდნენ სისხლს და სახეზე ისხამდნენ, თან ხარხარებდნენ, გრუზინსკი კროვ, ხაროშოე ვინოო... ხარხარებდნენ... რა გადარევდათ აფხაზებს ასე?..

...ნელა მივუყვებოდით ქუჩას. ზაზა ლტოლვილთა კომიტეტს ეძებდა... ჰუმანიტარული დახმრება რომ მიეღო მოხუცი დედ-მამის პატრონს. ამაყი სვანი ბიჭი დახმარებას ითხოვდა და დაფლეთილ ტერფს სიმწრით ადგამდა გახურებულ ასფალტზე.

– ...მას მერე მეც გადავირიე, ბატონო ჩემო... – დაბეჩავებული ხმით შემომფიცა აღსარება ზაზამ და ვიგრძენი, მას გულში ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა აფხაზ-ქართველთა გათიშვა, – „რა გადარევდაო აფხაზებს ასე?“ – კითხულობდა ზაზა.

* * *

... რუსთაველზე წიგნები გამოეტანა გასაყიდად ვიღაც ბუკინისტს. მოშორებით, მიწისქვეშა გადასასვლელის თარჯზე ხანშიშესული კაცი იჯდა და პირსახოცისხელა ცხვირსახოცით კისერსა და შუბლს იმშრალებდა დასიცხული.

დიდი და პატარა საჩრდილობელს დაეძებდა თბილისში. თბილისში კი არა, დასავლეთ საქართველოში ისეთი სიცხეებია, თუ ასე გაგრძელდა, წელს ულუკმაპუროდ დარჩება ხალხი, ამბობდნენ გუშინ თუ გუშინწინ იქიდან ჩამოსულები.

ვიდექი და **„გმირთა ვარამს“** ვათვალიერებდი.

„...ლევან გოთუას ცნობილი რომანი „გმირთა ვარამი“ ასახავს საქართველოს ისტორიული ცხოვრების მძიმე ხანას,– მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-17 საუკუნის დასაწყისს.

რომანის ძირითადი თემაა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად...“ – წერდა წიგნის რედაქტორი. გარეკანზე, ციხე-გალავანი ერტყა ცადაწვდილ კოშკსა და სვეტიცხოველს.

– იყიდე ეს წიგნი, ბაბა, იყიდე! კაი კაცის წიგნია მაგი!.. – შემეხმიანა თარჯზე მჯდომი კაცი და ოდნავ წამოიწია.

მესიამოვნა დიდი მწერლის უბრალო კაცისმიერი ამგვარი შეფასება. მივეახლე და გვერდით მივუჯექი.

– წიგნი გცნობიათ, ნამდვილად!.. – მოქალთინაურა უცნობი.

– მართალი გითხრათ, მაქვს **„გმირთა ვარამი“**, მაგრამ... აი, ამიტომ ვიყიდე!...

წიგნის თავფურცელზე სამახსოვრო მინაწერი საგულდაგულოდ წაეშალა ვიღაცას, მაგრამ ღრმად ნაწერ-ნაკალმნარს მაინც დაეტოვებინა კვალი – „ჩემს პირველ შვილს, პირმშოს, რომლის იმედით ვცოცხლობ! დედიკოსაგან“.

... ვიღაც ბუკინისტი ათას **„ნაგავთან“** ერთად ყიდდა დედის საჩუქარსა და **„გმირთა ვარამს“**...

– გოთუები გურულები ვართო, უმეტესად! – მეტყოდა ხოლმე, ჩემს ასაცეტებლად, ბატონი ლევანი... ჩვენთან ისვენებდა ხშირად.

– ოხ, რას ამბობთ, ბატონო ლევან-მეთქი, ვეტყოდი.

– ასეა მაგი და არ თქვა ახლა, ძაღლში გაცვლილები არიან-თქო, სიცილს ვერ შეიკავებდა და თვალებში ჩამხედავდა, აბა, რას იტყვისო.

– ძაღლში გაცვლილს როგორ გაკადრებთ, მარა... რამ გაყო გურული და მეგრელი, რაც ერთია, ისაა მეორეც, ცუდია თუ კარგი...

უხაროდა, ასე რომ ვფიქრობდი...

საღამოხანს აივანს გადაეყრდნობოდა და დიდხანს გაჰყურებდა ზღვაში ჩასაძირად გამზადებული მზის ბრიალს.

მეც არ შევაწუხებდი, მცირე საკით ამოვიდებდი ხუთიოდე კილო სიმინდის მარცვალს იღლიაში და სოფლის თავთან გაწყობილი წყლის წისქვილისკენ გავწევდი. წყლის წისქვილზე დაფქვილი სიმინდის ღომი უყვარდა ბატონ ლევანს და ყოველ საღამოს ახალ-ახალს ვფქვავდი... ეხ, დიდაში მაყვილარი!..

– საიდან ბრძანდებით, ბატონო?

– ვლადიმერი მქვია მე, ქობალია!... გულრიფშის რაიონშია ჩემი სოფელი, ზღვის პირას... ზღვა თუ ღელავს, ტალღები ჩემი სახლის ბოკონებს ასკდება და ასე გგონია, გემბანზე ვარო... სპეციალურად ავაშენე ასე! მიყვარდა ზღვა... ახლა, ა, დავდივარ და ადამიანებს ვეძებ, ვინც გამომელაპარაკება და გულს გადავაყოლებ...

... წიგნების გამყიდველმა ნაადრევად აკრიფა **„თავისი ბაზარი“...**

... **„ვოლვოში“** ჯეკსონი მღეროდა...

... დაზაფრული ივნისი იდგა თბილისში...

... პირველი საშუალო სკოლა ყვითლად შეეღება ვიღაცას...

... მოსკოვის მერი, თბილისის საპატიო მოქალაქედ აურჩევიათო, ამბობდა გამვლელი...

რომელიღაც რუსული გაზეთი ქუჩაში დაეგდო ვიღაცას. ბაგრამიანის სახელობის **„ბრიგადის“** მეთაურს მადლობას უხდიდა **„აფხაზეთის მთავრობა“**...

ბატონ ვლადიმერს თავისი სატირალი ჰქონდა:

– სიკოჩი, რაცხა კარგს არ მიგრძნობს გულიო, აიჩემა ბოლო ხანებში მეუღლემ, ლეთოდიანის ქალი იყო, უბედური! ლეთოდიანები მეტწილად ოქტომბერში ცხოვრობენ... სოფელია ასეთი... ერთი ქალიშვილი გვყავდა... თალიკო ერქვა! ანგელოზს ჰგავდა მარა ცოტა ვერ იყო კარგად, ტვინის ანთებით გაგვიხდა ავად ბავშვობაში... წავიყვან თალიკოს და წავალო... ათასი ოხერი და მუდრეგი დაიარება ამ ზღვისპირსო. ის კი არა შენც წამოდიო. ძმის ოჯახში ვიყოთ, იქ შედარებით სიმშვიდეაო, უფრო. რძალიც ავადმყოფობს მასაც წავადგებით ცოტასო!... მართალი იყო, მარა ოჯახის მიტოვება არ მინდოდა... ისინი კი გავუშვი... მერე არც მინახავს!... ვავა ჩქიმი ცოდა!... საფლავიც არა აქვთ თორემ, ვინ იტყოდა რამეს... ჩემი ცოლისძმის ბიჭები ორივენი იბრძოდნენ, მარა **„ისინი“** მაინც სტუმრობდნენ ამ ოჯახს. სვამდნენ, ჭამდნენ. თითქოსდა არაფერი არ უნდა მომხდარიყო, მარა... ჩემი დაქცევის წინადღეს ჩემი ცოლისძმის ორივე ვაჟი დაიღუპა, თურმე. დაიღუპნენ, მაგრამ როგორც ამბობდნენ, ოცი თუ ოცდახუთიც გაიყოლეს თან... ეტყობა, აი, ეს არ აპატიეს ლეთოდიანებს... შუადღისას შემოსევიან ოჯახს. ბეტეერებით, ტანკებით, ოხრობითა და ჯანდაბით, და ჩემი თალიკო შეეგება წინ, იფიქრა, ალბათ, ისევ სადილად თუ მოვიდნენო, მარა... ერთი მიაკივლა, მეტი ვერ მოასწრო საცოდავმა, თურმე... ავტომატით დაცხრილეს... ახლა დედამისი გამოენთო... ისიც იქვე დახვრიტეს. მერე შინ შეცვივდნენ, თურმე, იქ ლოგინად ჩავარდნილი რძალი იწვა... ლოგინშივე დაუხლია ავტომატი... მას მისი ანგელოზივით რძალიც მიაყოლეს... მერე სახლს ცეცხლი წაუკიდეს და სანამ არ დაიფერფლა ფეხი არ მოუცვლიათ თურმე...

მე ოცი დღის შემდეგ გავიგე... რა მექნა? ადამიანი თავისით არ კვდება თურმე, თუ მისმა ჟამმა არ დაუკაკუნა... რას გაუძლო ამ ჩემმა უბედურმა გულმა! 79 წლის ვარ და არ მეგონა თუ ვიცოცხლებდი ამისი მომსწრე... ვეცადე, ჰაი, აქეთ, ჰაი, იქეთ, მარა არაფერი გამოვიდა... ვერც დავასაფლავე ადამიანურად! ვცოცხლობ მაინც! სიცოცხლე ჰქვიან ამას?... ახლა ვარ აგერ ა, თბილისში... და ისიც არ ვიცი, რატომ ვარ აქაც, ან როდემდე?!

...**„რუსის ჯარის“** მიერ მიტოვებული, კედლადღა დარჩენილი შენობის ერთი ფარდალალა ოთახიდან გვიან ღამით გამოვედი. ბატონმა ვლადიმერმა არ დამიჯერა და ტრასამდე გამომაცილა, – უნდა გაგაცილოო, მთხოვა. სულს გადავაყოლებ, ცოტას გავივლი... ამ ბოლო ხანებში მარტოობის მეშინიაო, რაღაც...

– კიდევ გინახულებთ ბატონო ვლადიმერ!..

– მადლია შვილო... შემომიარეთ... მალე შემომიარეთ, მალე, თორემ ამ ბინიდანაც გამასახლებენ და ვინ იცის, როდის შევხვდებით მერე... შევხვდებით კი?! ისე აირია ქვეყანა... რა ვიცი!

ღამისა და კედრის ხეების მრუმეში ნელა მიაბიჯებდა საკუთარ სახლ-კარს მოწყვეტილი, ოჯახამოწყვეტილი კაცი და ბატონ ლევან გოთუას სტრიქონები გამახსენდა ანაზდად:

„ჩუმად, უსიტყვოდ ვიდოდნენ უცხო მხარეში ამგზავრებული ქართველები!...“

* * *

მას შემდეგ არ მინახავს ბატონი ვლადიმერი. მივლინებიდან დაბრუნებულმა კვლავ მივაკითხე მისამართზე, მაგრამ... ვერავინ მითხრა საით წავიდა! ერთადერთი ეს მითხრეს, – ნათესავებმა წაიყვანესო!

მივლინების მარშრუტი კი ანაკლიიდან სვანეთის მთებამდე გადიოდა. ეს იყო **„აქეთა მხარის“** კიდევ ერთი სამარცხვინო დამარცხების დღეებში, რომელსაც **„1998 წლის მაისის მოვლენები“** შეარქვეს ქართველმა **„ბედოვლათმა მთავარსარდლებმა“** და, რომელმაც რამდენიმე ჭაბუკის სიცოცხლესთან ერთად, შერიგების ბეწვის ხიდზე გამავალი იმედის რწმენაც წარიტანა თან!!!

გამგზავრების წინ მივლინების ბარათთან ერთად, ხელმძღვანელებმა მკაცრი ბრძანება გამომატანეს: **„დაძაბული სიტუაციის გამო“** ნაბიჯი არ უნდა წამცდენოდა ენგურს გაღმა!

მაგრამ იყო მეორე **„მე“**, რომელმაც ასეთი სიტყვა მისცა საკუთარ თავს:

„ჯერ აქეთა სანგრებიდან დავიწყებ, მერე იქითაც გადავალ!

დიახაც, რომ გადავალ!“

ვიცი, მიმიღებენ აფხაზები, რადგან წინაპართა მოწიწების წინაშე ავტომატები ვერ იწივლებენ, საშინელ ამბავთა მოთხრობისას ქვემეხებიც დადუმდებიან და სანგრის აქეთაც და სანგრის იქითაც სისასტიკე გონიერებას დაუთმობს სარბიელს!

იქითაც გადავალ და ყურს მივაპყრობ გოდებას მათსას!

* * *

... ხურჩაში პატარა ღელე ჩამოედინება. თუმცა ღელეც არ ეთქმის,– ენგურს გამოქცეული პაწაწკინტელა ფშანია და მასზე, როგორც იტყვიან, აკვნის ბავშვიც ისე გადაივლის, რომ ცერსაც არ დაისველებს.

ხურჩა ზუგდიდის რაიონის ენგურს გადაღმა სოფელია. ამ ღელის გაღმა კი ნაბაკევია, გალის რაიონის სოფელი. იყო დრო, ამ ხევს ვერც ამჩნევდნენ ხურჩელები და ნაბაკეველები. ერთად ცხოვრობდნენ, ერთ კეცზე ცხვებოდა მათი ჭირისა და ლხინის ჭვიშტარი და ასე ამბობდნენ კიდეც: – ერთნი ვართ ხურჩელები და ნაბაკეველებიო.

დღეს კი ხევს გადაღმა შაშვის გადაფრენაც საშიშია შაშვისთვის, და ვაი, რომ, ადამიანისთვის ხომ, მით უმეტეს! ნაბაკეველები ხურჩელებს შეჰფარვიან და აქედან უყურებენ, როგორ იწვის მათი ნაშრომ-ნაჯაფი...

ღელის გაღმა, თითქოს განგებ მოაწყვესო დეკორაცია, – უღრანი ტყეა, კოლხური ტყე-ბარდი. აქეთ კი, ნალოლიავები ეზო-კარია, ერთი, ორი... ათი, მაგრამ უმეტესობა მათგანში არავინ ცხოვრობს.

„ფრონტის ხაზი“ აქ გადის, აქ დგანან შინაგანი ჯარის ბიჭები, – გაღმა **„ისინი“** არიან, გამოღმა – **„ჩვენ“...**

„კალაშნიკოვები“, „აკაემები“, „აკაესები“, ხანდახან ნაღმტყორცნებიც, სხეპენ ხეთა კენწეროებს და ამ **„სხეპვას“** კარგა ხანია მიეჩვივნენ ხურჩელები. ეგ არაფერი – მაღლა ნასროლი ტყვიები, მხოლოდ ცას ღარავენ იარებად, ჩვენს ცას, მრავალგზის ნაიარევს და დაკოდილს, ბევრის ამტან და მომსწრე ქართულ ცას, მაგრამ ღამის უკუნეთში ხეთა კენწეროებიდან დაბლა **„ჩამოდის“** სიკვდილის მოციქული და მაშინ იღვრება სისხლი... და ასე მგონია, ტყვიაზე მეტად ქართველთა და აფხაზთა შორის დაკარგული ნდობა ღვრის მას!

ასეა შამგონაში, ასეა ტყაიაში, ასეა ფახულანში, ასეა წყოუშში, ასეა ქალაღალში, და ათობით დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვს ყოველდღე, ბალღამივით ემატება თითო-ოროლა!..

... ზუგდიდში კოლხური გვიანი ღამე თვლემდა. სადღაც, სამხრეთ-დასავლეთით, ზღვა ლოკავდა ნაპირს. შორიდან კვლავ კანტიკუნტად ისმოდა **„კალაშნიკოვების“** კაკანი.

... ერთი კვირის წინ გაგზავნილი **„საიდუმლო ბარათის“** პასუხი მივიღე, – ზეგ, შუადამისას ოყორანეს სამანებში მელოდებოდა ბაგრატ ბიძი!

* * *

– **„ჰეი, ვარა!!!“** – ოყორანეს უფსკრულები ააჩქამა ფრთხილმა შეძახილმა, კვერნამ თუ მელაკუდამ გაიშლიგინა წყავის უგურყელში.

– ჰეი, ვარა! მშვიდობა ცასა და მიწას!... შენ იქნები, ნამდვილად, სხვა ვინ შემოვიდოდა ამ წკარამში ამ დროს, მორდუ...

– მე გახლავართ, ლალა!...

– მადლობა მადალ ღმერთს, კიდევ მეღირსა შენი ხილვა!...

... ოხაჩქუეს მთა დაგვყურებდა თავთ და უღრანი ტყის ალიონში ჯერ ისევ ლანდად თუ გაარჩევდა კაცი კაცს...

მერე აღმოსავლეთი შებაცდა, თანდათანობით ამოგორდა მნათობი დიდებული და ციცაბოებს ამგზავრებულთ თაკარა სხივთა გნიასით ამოგვწია.

– ხომ არ დაიღალე, წიე?..

– სირცხვილია, ბაგრატ ბიძი, მაგი რომ გავამხილო...

– რატომ, ვითომ?

– თქვენ სქვერივით (შველივით) მიუყვებით ამ უგზოობას და მე...

ზაურ ფიფია

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ზუგდიდის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ზურაბ ნარსიას, მეუღლის

რუსუდან მირცხულავას

გარდაცვალების გამო

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ძალიან უხდებოდა ლამაზი ბაკენბარდები და კოხტად დავარცხნილი ჭაღარა წვერი. გაღიმებულმა წამოიწია და ხელი ჩამომართვა. შემდეგ ჩაახველა, ექიმს გადახედა და წარმოსთქვა: Правда, какой молодец Ваш приятель! შემდეგ ისევ გაისმა ზარის წკრიალი და შემოვიდა კანცელარიის უფროსი ზაგუევსკი. გუბერნატორმა უბრძანა, გამოერთმია ჩემთვის პასპორტი და ჩაეწერა: Разрешаю проживать в гор. Иркутске при положительном поведении. ზაგუევსკიმ ნათქვამი სასწრაფოდ ჩაწერა, რეგისტრაციაში გაატარა და გუბერნატორს ხელის მოსაწერად მიართვა.

გუბერნატორმა დაასვა ბეჭედი, მოაწერა ხელი და გადმომცა პასპორტი. მე მას უღრმესი მადლობა გადავუხადე, ასევე დიდი მადლობა უთხრა ექიმმაც და გამოვედით. ამის მერე, ძალიან დავუმეგობრდი ჩემს კეთილისმყოფელ ექიმ ერისთავს, ხშირად დავდიოდი მასთან. ამ ამბით მეტად კმაყოფილები იყვნენ პლატონი და მელიტონი, რადგან უკვე შემეძლო უშიშრად და თავისუფლად მეცხოვრა მათთან.

ირკუტსკში ბევრი ქართველი გავიცანი, რომელთა შორის, ზემოთ ნახსენებთა გარდა, უთუოდ უნდა დავასახელო კოლია ნიჟარაძე, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი, რომელიც მოხალისედ წამოსულიყო იქ და წითელი ჯვრის საზოგადოებაში მუშაობდა. გაცნობის მერე კოლიამ ძალიან შემიყვარა და ხშირი სტუმარი ვიყავით ერთმანეთისა. ვიცნობდი, აგრეთვე, ქალაქ ირკუტსკის სასტუმრო „მარსელის“ გამგეს დავით დიმიტრის ძე ახმეტელს. მისი სასტუმრო განთქმული იყო და თვითონაც კარგი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ირკუტსკში თავისუფალი ცხოვრების უფლება მოვიპოვე, მაინც გულს მიღრღნიდა ახლობლებთან, სამშობლოსთან დაშორება და ჩემი ოცნება იყო, რაც შეიძლება ჩქარა მენახა ჩემი საყვარელი საქართველო, დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე წავსულიყავი იაპონიისკენ და რამენაირად ომში მიმეღო მონაწილეობა, რათა ამ გზით ან დავღუპულიყავი, ან და სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მომეპოვებინა. ამის თაობაზე ჩემი აზრი გავუზიარე პლატონს, მელიტონს, კოლია ნიჟარაძეს, მაგრამ ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ და მირჩევდნენ იქ დარჩენას. ამავე დროს მე უაღრესად მაინტერესებდა, რა ბედი ეწიათ ლადო ჯოხაძეს და მის ამხანაგებს, რომლებიც ციხიდან გასაქცევად ემზადებოდნენ. პასპორტი ავიღე თუ არა, მაშინვე წერილი გავუგზავნე ალექსანდროვკაში დარჩენილ ჩემს მეგობარ ქალებს – ლვოვას და ფოკინას და ვაცნობე მათ ჩემი მისამართი. ისიც შევატყობინე, რომ მზად ვიყავი, მათთვის მუდამ გამეწია საჭირო სამსახური.

იმხანად ირკუტსკში რუსეთ-იაპონიის ფრონტიდან ჩამოვიდა შვეიცარიის სამხედრო წარმომადგენელი – ატაშე – პოლკოვნიკის ჩინის მქონე. იგი ფრონტზე წასულიყო როგორც ატაშე, რათა გაცნობოდა ომის მსვლელობას. ერთ დღეს მე და კოლიამ ეს ატაშე უმაღლესი ჩინის რუსეთის ოფიცრებთან დავინახეთ. კოლიამ მითხრა, ჩემო გვანჯი, დიდი სურვილი მაქვს ამ შვეიცარიელ წარმომადგენელს დავით ახმეტელის სასტუმროში ერთი ლამაზი ბანკეტი მოვუწყოთო. ჯერ ერთი, ეს ჩვენი სახელი იქნება, გარდა ამისა ლაპარაკიდან შევიტყობთ, შენი ფრონტზე წასვლა ღირს თუ არაო. მართლაც, მეორე დღეს წავედით ახმეტელთან და იმანაც საუკეთესო ვახშამი დაუკვეთა. სუფრა გაიშალა ბრწყინვალე დარბაზში. მაგიდას ამშვენებდა ძვირფასი ღვინოები, კავკასიური და ევროპული ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი. შვეიცარიელ პოლკოვნიკთან ერთად მოწვეულ იქნა მისი თანმხლები უმაღლესი ჩინის რუსეთის ოფიცრობა.

იქ მყოფთა სმენას ატკბობდა იტალელ მუსიკოსთა საუცხოო ორკესტრი. ითქვა მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები. ყველას ემჩნეოდა დამცინავი და ერთგვარი უკმაყოფილო განწყობილება რუსეთის მთავარსარდლობის მიმართ. იმხანებში უკვე დაღუპული იყო ადმირალი მაკაროვი. მთელი გემიდან გადარჩა მხოლოდ დიდი თავადი კირილე ვლადიმერის ძე.

ამ ფაქტზე ერთმა შეზარხოშებულმა პოლკოვნიკმა იხუმრა: Пробка в воде не тонет! – რამაც დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია. შვეიცარიის ატაშემ რუსული ენა კარგად იცოდა. მე ძლიერ მორცხვად ვიყავი და ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს ამ უმაღლესი ჩინის ოფიცერთა საბანკეტო მანერებს. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიის ატაშემ თავის სიტყვაში ასეთი რამ თქვა: მე რუსეთის სტუმარი ვარ. დღეს აქ ქართველებმა მომიწყვეს შესანიშნავი ბანკეტი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, მით უმეტეს, რომ მთელი რუსეთის იმპერია მოვიარე და ასე გულუხვად ჯერ არავინ გამმასპინძლებიაო.

შუა ქეიფ ში კოლია ნიჟარაძემ სუფრიდან ამაყენა, გვერდზე გამიყვანა, თავზე ღვინიანი ჭიქა დამადგა, ათი ნაბიჯით დაიხია და მიზანში მესროლა. მე უშიშრად ვიდექი, ყველა შეშინებული და გაფითრებული შემომცქეროდა და კოლიას სთხოვდნენ, არ გაემეორებინა ეს სახიფათო თამაში, მაგრამ მან რამდენჯერმე ზუსტად გატეხა ჩემს თავზე დადგმული სავსე ჭიქა და მეც უშიშრად, გაღიმებული ვიდექი, რადგან ვიცოდი, კოლია საუკეთესო მსროლელი იყო და ხელი არ უმტყუნებდა. დროსტარებამ თითქმის გათენებამდე გასტანა. დილის 4 საათზე გაზეთის გამყიდველის ყვირილი შემოგვესმა: **Телеграмма, телеграмма! Убийство великого князя Сергея Владимировича, губернатора московского!** დეპეშის ტექსტი როცა წაიკითხეს, ერთმა პოლკოვნიკმა ჩაილაპარაკა: **Одним дураком меньше в России!** ამის მერე ყველანი დაიშალნენ და კოლიას დიდის ამბით დაემშვიდობა შვეიცარიის ატაშე, აგრეთვე, მისი მხლებელნი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ისევ კოლია ნიჟარაძესთან ვიყავი, ჩემთან მოვიდა პლატონ კალანდარიშვილი და მითხრა: გვანჯი! ბინაზე გიცდის უცხო ქალი, რომელიც ერთი საათის წინ მოვიდაო. მე მაშინვე გავეშურე და ბინაზე ვნახე ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული, მეტად სასიამოვნო შესახედაობის ქალი. იგი დიდი ხნის მეგობარივით მომესალმა და მითხრა, ჩემი პაროლი ლადო ჯოხაძე არისო. ეს ქალი აღმოჩნდა სოფია ვლადიმერის ასული ვინოგრადოვა – ცნობილი რევოლუციონერი, რომელიც, ლადო ჯოხაძის დავალებით, ალექსანდროვკიდან ჩემს იქაურ მეგობარ ქალებს გამოეგზავნათ. ამ ქალის ბედი და სიცოცხლე სამი წლის შემდეგ საშინლად დასრულდა; იგი, როგორც საშიში რევოლუციონერი, ჩამოხრჩობილ იქნა მატროსის ტანსაცმელში, ქალაქ ვლადივოსტოკში. მე პლატონ კალანდარიშვილს ადრევე ვუამბე ალექსანდროვკაში დარჩენილ იმ პატიმრებზე, ლადო ჯოხაძის ხელმძღვანელობით გაქცევას რომ აპირებდნენ. ვინოგრადოვას ქალმა დაწვრილებით გამაცნო მდგომარეობა. გადმომცა ლადო ჯოხაძის შემონათვალი, რომ გვირაბის გათხრა უკვე დამთავრებულია და ახლა მათი ხსნა ჩვენზე იყო დამოკიდებული. გეგმა ასეთი გახლდათ: მე და ვინოგრადოვას ქალს უნდა დაგვექირავებინა თხუთმეტი მარხილი და მეორე ღამეს უნდა ჩავსულიყავით ალექსანდროვკაში. ციხიდან გამოქცეული ყველა პატიმარი უნდა ჩამოგვეყვანა ირკუტსკში და სამი-ოთხი კაცი, პატარა ჯგუფებად მიგეყვანა საიმედოდ მიჩნეულ ფარულ ბინებში. ბინების საქმე უკვე მოეგვარებინათ იქ ჩამოსულ რევოლუციონერ სტუდენტებს, რომლებიც მეორე დილით გამაცნო სოფია ვინოგრადოვამ – ვეტოშკინი, სერებრიაკოვი, ზვერევი და სხვები, სულ შვიდი კაცი. ეს ზვერევი ექიმ ალექსანდრ ზვერევის ძმისწული იყო; მეფის რეჟიმისთვის მეტად საშიშ რევოლუციონერად ითვლებოდა. მე შევეკითხე სოფია ვინოგრადოვას, ნაშოვნი იყო თუ არა საჭირო იარაღი. ამის პასუხად საღამოს მან მოიტანა სმით-ვესონის სისტემის ოცდაერთი რევოლვერი პატიმრებისთვის გადასაცემად. მე და სოფია ვინოგრადოვამ დავიქირავეთ თხუთმეტი მარხილი და ცალ-ცალკე ჯგუფებად (თვითეულ ჯგუფში ოთხი-ხუთი მარხილი იყო) და ალექსანდროვკისკენ გავემართეთ. პლატონს არ დაუშლია ჩემთვის ამ საქმეში მონაწილეობა, ვინაიდან თვითონაც დაინტერესებული იყო ლადო ჯოხაძისა და სხვების ბედით. ციმბირის გამძლე და სწრაფმა ცხენებმა ექვსი საათი მოანდომეს ჩვენს მიყვანას ალექსანდროვკის გარეუბანში ერთ წისქვილთან, სადაც დანიშნული გვქონდა ადგილი. იქ ჩვენ ორმა მარხილმა მიგვასწრო. საათი-საათნახევრის შემდეგ ყველამ მოვიყარეთ თავი. აქედან თითო-ოროლად გავემგზავრეთ წინასწარ დათქმულ ადგილზე, ციხიდან ნახევარი კილომეტრით რომ იყო დაშორებული; განვლაგდით ერთ მიყრუებულ ჩირგვნარში და ფრთხილად დავიწყეთ ლოდინი. თხუთმეტი წუთიც არ გასულა, რომ ორი ადამიანის სილუეტი გამოჩნდა და თანდათან მოგვიახლოვდა. ერთი მათგანი პირდაპირ ჩემკენ გამოიქცა და გადამეხვია. ეს იყო ლადო ჯოხაძე, დიდებული ვაჟკაცი და უშიშარი რევოლუციონერი. რამდენიმე წუთში მოგროვდა ოცდათხუთმეტი კაცი. სულ ორმოცდაათნი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ იმ ღამით ციხის საკანში გადაჯგუფება მოეხდინათ და ამის გამო თხუთმეტი კაცი გამოუსვლელი დარჩა, მათ შორის, გინზბურგიც, რამაც ყველა ჩვენგანს ძლიერ დასწყვიტა გული. სასწრაფოდ დავსხედით მარხილებზე და ირკუტსკისკენ გავემგზავრეთ. ლადო ჯოხაძე და ორიც სხვა ჩემთან დავისვი. გაქცეულებს ჩამორიგებული ჰქონდათ თავიანთი ბინის მისამართები. მეორე საღამოს ფრთხილად შევედით ირკუტსკში. შესახელებულ ბინაზე რომ დავაკაკუნეთ, გამოვიდა ბინის პატრონი და მიღებაზე ცივი უარი გვითხრა. დავრჩით ბედის ანაბარა. ლადო მე მომიბრუნდა – ჩემო გვანჯი, გვეყოფა შენგან თავის განწირვა. ახლა, სულ რომ არ დაიღუპო ჩვენთან ერთად, აჯობებს, თავს უშველო, დაგვშორდეო. ამაზე მტკიცე უარი ვუთხარი და ვთხოვე, ჩემთან წამოსულიყვნენ. გადავწყვიტე, იმავე ღამით მიმეყვანა ისინი პლატონ კალანდარიშვილთან. მართლაც, მივედით პლატონთან. მან სრულიად გულღიად და გაბედულად მიგვიღო. ადრე დილით ლადო და მისი ამხანაგები ქალაქის გარეუბანში წავიყვანე ნაცნობ მედროგე გიორგი მანდარიასთან და იქ დავაბინავე. შემდგომ ამისა, მე და სოფია ვინოგრადოვამ ამ ოცდათხუთმეტი კაცისთვის დიდი სიფრთხილით შევიძინეთ საჭირო ტანსაცმელი, შევმოსეთ ისინი (პასპორტები და სათანადო საბუთები წინასწარ ჰქონდათ გამზადებული სერებრიაკოვს, ვეტოშკინს და სხვებს) და ერთი კვირის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებით, ყველანი მშვიდობიანად გაემგზავრნენ. ასე წარმატებულად, უხიფათოდ დამთავრდა ეს მეტად ძნელი და დიდი მამაცობით მომზადებული გაქცევა.

ხარბინში გამგზავრება

მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ხარბინში წავსულიყავი. პლატონი და მისი ცოლი, რაკი დარწმუნდნენ, რომ გადაწყვეტილებას არ შევცვლიდი, დამეთანხმნენ. ცოლმა სთხოვა პლატონს, ჩემი იქაური მეგობრები მოეწვიათ და ჩემთვის გამოსათხოვარი სადილი გაემართათ. მეორე დღესვე მოაწყვეს მშვენიერი სადილი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ – ნესტორ გვათუა, მელიტონ გეგელია, ნესტორ ჩარკვიანი, სამსონ ნაჭყებია და სხვები, ათ კაცამდე. სადილმა მხიარულად ჩაიარა. ბევრი მგრძნობიარე, ამაღელვებელი სადღეგრძელო ითქვა. ყველა დიდი სიყვარულით გამომეთხოვა. ნესტორ გვათუამ, პლატონმა და მელიტონმა მითხრეს, რომ ისინი ხარბინში აცნობებდნენ თავიანთ მეგობრებს, რათა ჩასვლისთანავე დამხმარებოდნენ, ხელი შეეწყოთ ჩემთვის. ამასთანავე თქვეს, რომ ხარბინში დეპეშას გაუგზავნიდნენ პლატონ დადიანს. პლატონ დადიანი, თავისი გავლენითა და შეძლებით, იმ დროს ცნობილი კაცი იყო ხარბინში. მასთან თავს იყრიდნენ კავკასიიდან ჩამოსულები – როგორც ქართველები, ისე სომხობა, თათრები და ჩრდილოკავკასიელები. მე უღრმესი მადლობა გადავუხადე პლატონსა და მის მეუღლეს, ყველა მეგობარს. მეორე დილისათვის ტანისამოსიც და სახარჯო ფულიც მომზადებული მქონდა და ხარბინში გავემგზავრე.

ხარბინის გზაზე, როდესაც მატარებელი ტანხოის სადგურში გაჩერდა, ვაგონიდან გადმოვედი და იქვე ბუფეტში შევედი, რათა მესაუზმა. ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ფოსტის მოხელე და გამეცნო. იგი აღმოჩნდა ლეჩხუმელი ასათიანი, ჯანსუღ ასათიანის შვილი. ახალგაცნობილმა მორიდებით მთხოვა, ბინაზე ვსტუმრებოდი და შემპირდა, რომ გამაცნობდა ვაღურია ჩიქოვანს, რომელიც თურმე ორდინარეცად (მხლებელი) მუშაობ და გენერალ რედკინთან. მე დავეთანხმე. ასათიანმა შეამოწმა ბილეთი შემდეგი მატარებლისთვის და გავყევი ბინაზე. მან საჩქაროდ მოამზადა ვახშამი და რამდენიმე საათის შემდეგ მართლაც მოიყვანა ვაღურია ჩიქოვანი. ჩიქოვანს დიდად ესიამოვნა ჩემი გაცნობა. უჩვეულოდ მაღალი ვაჟკაცი იყო. ამბობდნენ, მთელს რუსეთის იმპერიაში სიმაღლით მეორე კაციაო. სიმაღლე მეტად ჰარმონიულად, სიმეტრიულად ჰქონდა შერწყმული სხეულის მთლიან აღნაგობასთან. მე მას ვუამბე ჩემი მდგომარეობა და ვთხოვე, ჩემს ფრონტზე გასაგზავნად გენერალთან შუამდგომლობა გაეწია. ჩიქოვანმა გამაცნო გენერალი რედკინი, ძალზე გულკეთილი კაცი. მან მითხრა, სიამოვნებით დაგეხმარებოდი, უშუალოდ მოქმედ არმიაში რომ ვიყო, ამჟამად სარეზერვო დივიზიას ვხელმძღვანელობ და, სამწუხაროდ, თქვენი სურვილის შესრულება არ შემიძლიაო. ისე კი გირჩევთ, ნახვიდეთ და როგორმე მოქმედ არმიაში მოხვდეთო. ამის შემდეგ დავემშვიდობე ვაღურია ჩიქოვანსა და ასათიანს და ისევ ხარბინისკენ გავწიე. გზად სადგურ მანჯურიაში გადმოვედი. მანჯურიის სადგური გზაჯვარედინს წარმოადგენდა და აქედან ფრონტისკენ განუწყვეტლად მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ სანიტარული, სატვირთო თუ სხვა ეშელონები. მატარებლიდან გადმოსულმა ბაზრისკენ ჩავუხვიე და ვათვალიერებდი უამრავ მოფუსფუსე ხალხს, რომელთა უმეტესობა სამხედროები იყვნენ.

ამ დროს, მომიახლოვდა ჩოხაში გამოწყობილი კავკასიური გარეგნობის კაცი და ვინაობა მკითხა. მე გავეცანი მას. თვითონ აღმოჩნდა აფხაზი დიმიტრი ავიძბა. ისა და მისი ძმა რამდენიმე წლის წინ გადმოსახლებულიყვნენ. დიმიტრიმ მთხოვა, დიდი სურვილი მაქვს, სტუმრად გამომყვეო. მალე კიდევაც მივედით ბინაში და გამაცნო თავისი ძმა, კოსტია ავიძბა. ორივენი კარგი ვაჟკაცები იყვნენ და ნამდვილი აფხაზური სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და თავიანთ ბინაში დამტოვეს. მე ვთხოვე ძმებს აფხაზებს, ჩემი გაჩერება ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ, მალე უნდა წავიდე ხარბინისკენ, რათა ფრონტზე მოვ ხვდე-მეთქი. დიმიტრიმ და კოსტიამ მითხრეს, რომ იქ, ე.ი. დაბა მანჯურიაში ჟანდარმთა განყოფილების უფროსია ჟანდარმერიის პოლკოვნიკი შერშოვი, მეტისმეტად მკაცრი და მიუკარებელი, გულქვა პიროვნება. მისვლით შეგიძლია მიხვიდე, მაგრამ არაფერი გამოვაო. მე დავფიქრდი და გადავწყვიტე, შერშოვთან აღარ მივსულიყავი, სხვა გზა მომეძებნა. დიმიტრიმ და კოსტიამ მირჩიეს, ვინმე მოგვესყიდა ხარბინში მიმავალ ეშელონზე და ფარულად წავსულიყავი. მე მომეწონა ეს აზრი და ხშირად გავდიოდი სადგურზე, ვათვალიერებდი სანდო პიროვნებებს. მანჯურიის დაბაში კარგა ხანს მომიხდა დარჩენა. იქ ერთ ქართველს, ორახელაშვილს, სასტუმრო ჰქონდა. ამ სასტუმროში თავს იყრიდნენ კავკასიელები, უმეტესად ქართველობა. მეც ხშირი სტუმარი ვიყავი ორახელაშვილის სასტუმროსი, სადაც შეკრებილები ვმსჯელობდით სხვადასხვა საკითხებზე, მეტწილად, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობებსა და ომის მიმდინარეობაზე. რამდენადაც უფრო მაგვიანდებოდა და ფერხდებოდა ჩემი წასვლა, იმდენად უფრო ვშფოთავდი, მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხდი. ერთხელაც გავედი სადგურზე, როცა ჩამომდგარი იყო ფრონტზე მიმავალი ეშელონი. გვერდზე გავიხმე ერთი უნტერ-ოფიცერი და ვუთხარი: ჩემო ძმაო, მე კავკასიელი კაცი ვარ. მშობლებს ძალად გამოვექეცი, რადგან ჩემი ძმები ფრონტზე არიან. მეც მინდა ძმებთან წავიდე სამშობლოს დასაცავად და თუ შეიძლება დამეხმარე, რომ თქვენთან ერთად ვიმგზავრო-მეთქი. ამ უნტერ-ოფიცერმა და მისმა ამხანაგმა მომკიდეს ხელი, წამიყვანეს მოშორებით და უკანა ვაგონში ჩამსვეს. სიხარულისგან ძლიერ ვიყავი აფორიაქებული. ეშელონის დაძვრას აღარაფერი აკლდა, ის იყო, მესამე ზარიც დაირეკა, რომ ამ დროს ვაგონის კარებთან მოვიდა ერთი ჟანდარმი, თითი ჩემკენ გამოიშვირა და მკაცრად მითხრა: А ну-ка, молодой человек, выходите скорей! რაღა მექნა, უხმოდ ავდექი და გადმოვხტი. მატარებელი დაიძრა და მე აღელვებული, მაგრამ მაინც თავშეკავებით გავცქერი მიმავალ მატარებელს. ჟანდარმი მაფრთხილებს, ჭკუას მარიგებს: Сейчас военное время и нельзя ехать без разрешения. Сейчас я Вас отпущу, а в следующий раз этого не делайте!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული თეატრის მომავლის იმედით

უდიდესი ტრადიციების მქონე ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრს დღეს ნამდვილად არ ეზეიმება.

თუ მეორე მსოფლიო ომის უმძიმეს წლებში ზუგდიდი ერთადერთი ქალაქი იყო საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, სადაც სათეატრო ნაგებობა შენდებოდა. დღეს იგი ავარიულობის გამო დახურულია.

რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ამ ბოლო დროს, მოხერხდა მსოფლიო ბანკის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამაში ზუგდიდის სათეატრო ნაგებობის აღდგენითი სამუშაოების გათვალისწინება. ფონდის დაკვეთით უკვე შესრულდა შენობის აღდგენითი პროექტი და ხარჯთაარიცხვა, მაგრამ თეატრის ბედი კვლავ საფრთხეშია.

უბედურება ის არის, რომ დადგენილი წესების თანახმად გათვალისწინებული



ხარჯების 20 პროცენტი, ე.ი. 100 ათასი ლარი, ადგილზე უნდა იქნეს მოძიებული. ამ მიზნით, საქართველოს საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალში გახსნილია სპეცანგარიში, მაგრამ დღემდე აქ შემოსული თანხები მომავლის იმედს ნაკლებად იძლევა.

მიუხედავად არსებული სიტუაციისა, პროფესიულ დღესასწაულს ვულოცავთ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს და ვუსურვებთ წარმატებებს აღნიშნული პრობლემის გადაჭრასა და მათ შემდგომ შემოქმედებით საქმიანობაში.

გულწრფელი სიყვარულითა და უდიდესი პატივისცემით,

ენის პალატის ზუგდიდის სამმართველო

კოაბიტაცია თუ საზოგადოების კიდევ ერთხელ დაწიხლვა?

ბოლო ჟამს, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ქართულ ლექსიკონში მყარად მკვიდრდება დღევანდელი გადმოსახედიდან არც თუ ისე სასიამოვნო სიტყვა **"კოაბიტაცია"**, რასაც ქართული შესატყვისი, რა თქმა უნდა, გააჩნია, მაგრამ ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული სიტყვაა და მისი გასაგებ ენაზე თარგმნა როგორ იქნება, რამეთუ **"ნაცმოძრაობის"** ნარჩენები მაშინვე პოლიტიკურ ზეწოლაზე იბღავლებენ და რუსეთისაკენ გადადგმულ ნაბიჯად ჩაგვითვლიან. ამიტომ, ამ სიტყვას ვტოვებთ ისე, როგორც შემოგვაჩეჩეს.

სიტყვის შემოჩეჩებაზე კაცი წყალს ჩაიგუბებდა პირში, მაგრამ ამ სიტყვას ისეთი საქმეები მოჰყვა, რომ ახალმოსული ხელისუფლების იმიჯს რყევა დააწყებინა. როგორც ჩანს, თავიდან უნდა დავიწყოთ იმით, რომ ღრმად და ყოველმხრივ უნდა გავაანალიზოთ **"ნაცმოძრაობის"** მიერ საკუთარი, ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი უამრავი დანაშაულობები. ჩვენმა საზოგადოებამ მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობის პერიოდში ვერ მოახერხა გაქცეოდა ზოგად რეგრესს, ყველაზე უფრო უარეოფითად იმოქმედა სახელმწიფო მანქანის ტოტალურმა სისტემამ, რომელიც ყველაფერზე ვრცელდებოდა, ტოტალიტარულმა რეჟიმმა გადაკეტა მისასვლელები ალტერნატიულ ინფორმაციასთან, შექმნა უზარმაზარი ნაკრძალი, რომელშიც ჩამოყალიბდა როგორც ტოტალიტარული, ასევე დაბეჩავებული მასები, თითქმის ჩაახშო პიროვნებებში სულიერი და ესთეტიკური საწყისები, მაგრამ, როგორც იქნა გვეღირსა გამოღვიძება და 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დაბეჩავებულმა მოსახლეობამ გააკეთა თავისი ღირსეული არჩევანი, რაც ბატონი ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა.

როგორც იქნა თავი დავაღწიეთ უდიდესი მასშტაბების ტერორს, მთელი საქართველოს მოსახლეობის შეგნებული ნაწილი, რამაც უმრავლესობა შეადგინა, აღფრთოვანებაში მოიყვანა სამართლიანმა არჩევნებმა, რომელმაც დიდი იმედები წარმოშვა. ახალი ხელისუფლების დაპირებები, რომ თანმიმდევრულად სრულდება, ეს არ დაინახო – ბეცი უნდა იყო, მაგრამ მთავარი დაპირების – რომ ყველა ის პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, სამართლიანად და მკაცრად იქნება დასჯილი – შესრულებას საშველი აღარ დაადგა. ე.ი. ყველა ის თანამდებობის პირი თუ სხვა მოხელე, რომლებიც **"ნაცმოძრაობის"** ავანგარდში იყვნენ და უამრავი საზიზღარი დანაშაული ჩაიდინეს, გასამართლდეს კანონიერად, რატომღაც შეუსრულებელი რჩება. თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა **"წონიან"** ფიგურას. აღნიშნული ფაქტი – კოაბიტაციაში შესვლა **"ნაცმოძრაობის"** ბანდიტებთან ქართველ ხალხს, რომელიც წლების განმავლობაში უკანონოდ იჩაგრებოდა და იხოცებოდა, რა თქმა უნდა, არ მოგვწონს და სწორედ ეს გახლავთ ახალი ხელისუფლებისადმი გაჩენილი უნდობლობის მიზეზი. ხელისუფლება, რა თქმა უნდა, დინჯად, პოლიტიკურად მართებულად უნდა მოიქცეს, მაგრამ მკვლელების, მძარცველების, საკუთარი ხალხის მტრების მიმართ სამართალი უნდა აღსრულდეს და ეს არც ამერიკასა და არც ევროპასთან შესათანხმებელი არ უნდა იყოს, რამეთუ **"ნაცბანდამ"** ქართველების მიმართ საქართველოში ჩაიდინა რიგი საზიზღარი დანაშაულობებისა, მაგრამ ისიც გასაგებია, თუ რა მუცლის გვრემა აქვს ამერიკის ზოგიერთ კონგრესმენს და ევროკავშირის დეპუტაციას. მათ მილიონობით ფული ჩაიჯიბეს და ამიტომაც იცავენ ნაცებს, ხოლო მათ შეურაცხად ბელად მიხეილ სააკაშვილს **"დემოკრატიის შუქურად"** წარმოაჩენენ. ეს მილიონები კი ჩვენი ჯიბიდანაა ამოცანცლული. ზოგიერთ ობივატელს მაინც ეჭვი ეპარება ამგვარი დანაშაულებრივი სქემის არსებობაში, ამიტომ მათ შევახსენებ ერთ რუსულ გამოთქმას: **"თუ ადამიანი არ შეიძლება იყიდო დიდი ფულით, იგი შეიძლება იყიდო ძალიან დიდი ფულით!"** კონგრესსა და ევროპარლამენტშიც ჩვეულებრივი ადამიანები სხედან...

აუცილებელია გასამართლდეს ყავლგასული თვითმარქვია პრეზიდენტი, რომელიც ყოველი დანაშაულის დამგეგმავია, თუმცა, ყველა მის მიერ ჩადენილ უბედურობებზე, რაც გამოაშკარავდა, იგი ურცხვად სხვებისკენ იშვერს ხელს. ამის დასტურია მის მიერ მამა-შვილ ახალაიების გაწირვა, ცოტა გაიბრძოლა მერაბიშვილისთვის, მაგრამ დენთის სუნი იყნოსა და ბუჩქებში შეიმალა.

თუ სამართალი არ იზეიმებს, თუ კოაბიტაციას მტკიცე უარს არ ვეტყვით, ნაცმოძრაობის ნარჩენები დასჯელობის ატმოსფეროს გამოიყენებენ და საშიშად გააქტიურდებიან. მათი აქტიურობა და უტიფრობა კი სახეზეა. მაგალითად, ბარამიძე, რომელმაც მხეცურად ამოწყვიტა აფრასიძეების ოჯახი, ახლა აქეთ გვმოძღვრავს, არშემდგარი **"ტერორისტი"** გივი თარგამაძე, რომელსაც მეტსახელად **"ჩე გევარა ვასილიჩს"** ეძახიან, კვლავაც პოზირებს ტელეეკრანიდან...

აუცილებლად უნდა გასამართლდნენ ბოკერია, უგულავა და სხვა მათნაირი სისხლისმსმელები. სწორედ ეს გახლავთ ქართველი ერის დაკვეთა და მოლოდინი, და არა უცხოეთიდან შემოთრეული რაღაც **"კოაბიტაცია"**. ნაცმოძრაობის მესვეურებს რომ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ, არახალაია, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად თუ ასე გააქტიურდებოდნენ, არავის ეგონა. ესეც მათი დაუსჯელობის ბრალია, რადგან ისინი პრაიმერიზს კი არ უნდა ატარებდნენ, მერაბიშვილის გვერდით უნდა ისხდნენ ციხეში!

რაც შეეხება მათ პრაიმერიზში **"გამარჯვებულ"** ბაქრაძეს, ეს ხომ ის ბაქრაძეა, რომელსაც ერთხელაც კი არ გაუპროტესტებია სააკაშვილის მიერ ჩადენილი მხეცობები. როგორ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად წარმოიდგინო ის ბაქრაძე, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სოროში შეძვრა და იქიდან მოგვიწოდებდა, რომ აგვეღო ტაშტები, თოხები, ბარები და წინააღმდეგობა გაგვეწია მოწინააღმდეგის სამხედრო ქვედანაყოფებისათვის...

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

აი, რატომ არის აუცილებელი, რომ ნაციონალები საბოლოოდ ჩამოშორდნენ ქართულ პოლიტიკურ ავანსცენას, რადგან მათში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ატავიზმის მუხტი, რომ თავიანთ პირვანდელ ველურ ყოფას დაუბრუნდნენ და ლამის გამოქვაბულებში შეყარეს ქართველი ხალხი.

სწორედ **"ნაცბანდაზეა"** ნათქვამი: **"არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა..."** ვერც სააკაშვილი **"გათეთრდა"** და გაქართველდა, რადგან, როგორც ჩანს, მის ნებისყოფაზე ძლიერი ის გენეტიკური მუხტი გამოდგა, რაც მას საკუთარმა წინაპრებმა – სომეხმა რეაქციონერებმა ჩაუთესლეს დეფორმირებულ სხეულში!

ცოტა კიდევ მოვითმინოთ და როცა ნაციონალი არამზადები საბოლოოდ ჩაესვენებიან პოლიტიკურ სამარეში, საქართველო და ქართველი ხალხი მშვიდად ამოისუნთქებს.

ამინ!

როზმირ გოგენია, ზუგდიდი

ამაგი და სიყვარული, რომელიც ადამიანებს დარჩათ

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ბატონმა ნიკო ქორთუამ თავის რთული და საინტერესო ცხოვრების გზა ღირსეულად გაიარა. იგი არის ასამდე მეცნიერული შრომის ავტორი, მათ შორის ექვსი მონოგრაფიის და "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის IV ტომის თანაავტორი. მისი მონოგრაფიებიდან აღსანიშნავია **"საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში", "ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში", "რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში", "დასავლეთ საქართველოს ბრძოლა XVIII საუკუნის დასასრულს ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ"** და სხვა.

ნიკოლოზ (ნიკო) ქორთუა დაიბადა 1922 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში. მშობლიური მიწისა და შრომისადმი სიყვარული, როგორც კეთილშობილების საწყისი, მან ბავშვობიდანვე მშობლებისაგან შეითვისა. 17 წლის ნიკომ აბასთუმნის საშუალო სკოლა დაამთავრა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ორი კვირის შემდეგ კი იგი ომში გაიწვიეს და 1943 წელს ფრონტზე მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს. ამის შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომლის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა მშობლიური სოფლის სკოლაში.

1949 წელს ნიკო ქორთუა პეტერბურგში გაემგზავრა, სადაც ჩაირიცხა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. უფროსი კოლეგა-აკადემიკოსები ნიკოს პეტერბურგში დარჩენას და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას სთავაზობდნენ, მაგრამ იგი საქართველოში გამოეშურა.

1953 წლის ოქტომბერში ნიკო ქორთუა თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედინსტიტუტის პრორექტორად დაინიშნა სასწავლო-სამეცნიერო დარგში, ერთი წლის შემდეგ კი ამავე ისტიტუტის რექტორად დააწინაურეს. ბატონი ნიკო 1984 წლამდე ხელმძღვანელობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელსაც წარმოშობის უძველესი ისტორია გააჩნია.

ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა მეფე ერეკლე მეორის საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგად, 1758 წელს თელავის სასულიერო სასწავლებლის დაარსებით, რომელიც შემდეგ, 1782 წლიდან ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა. მის პირველ რექტორად დაინიშნა გაიოზი, ხოლო 1790 წლიდან – დ. მესხიშვილი. ამ სასწავლებლის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ანტონ კათალიკოსმა. ამავე სასწავლებლის ბაზაზე 1830 წელს თელავში დაარსდა სამაზრო სკოლა, ხოლო 1865 წელს – **"წმინდა ნინოს"** სახელობის ქალთა სასწავლებლად ჩამოყალიბდა. 1939 წლის 1 სექტემბერს კი **"კახეთის სამეფო სასახლეში"** თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი ზარი დაირეკა.

დაარსებიდანვე ბევრმა ცნობილმა პროფესორმა დაიწყო მუშაობა ინსტიტუტში – მისი რექტორები კი იყვნენ დ. შარიქაძე, შ. სიხარულიძე, ნ. ჩახვაშვილი, ი. ნანობაშვილი, ვ. ციხისთავი. პედაგოგებად მუშაობდნენ პროფესორები მ. ზანდუკელი, გრ. მარგიანი, ი. ანთელავა, მ. დუმბაძე, ა. იოსელიანი, შ. მეგრელიძე, ე. მენაბდე, შ. ხანთაძე, დოცენტები გ. გაბედავა, შ. ჩიჯავაძე და სხვები.

სწორედ ბატონი ნიკოს ინიციატივით გადაწყდა თელავის პედინსტიტუტისათვის ახალი შენობის აგების საკითხი, რომელიც წარმოადგენდა რთულ სასწავლო კომპლექსს სამეცადინო აუდიტორიებით, საცხოვრებელი კორპუსით, სპორტკომპლექსით, სამეცნიერო ბიბლიოთეკით და სხვა მრავალი დამხმარე ნაგებობით. ინსტიტუტმა ახალსახლობა 1973 წლის 1 სექტემბერს იზეიმა.

განსაკუთრებულია ბატონი ნიკო ქორთუას როლი ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. იგი მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ძალასა და ენერგიას არ იშურებდა ნიჭიერი ახალგაზრდების შერჩევის, მომზადებისა და პროფესიული აღზრდისათვის. ბატონი ნიკოს უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი საბჭოთა კავშირისა თუ მსოფლიოს ხალხთა ისტორიის პრობლემურ საკითხებზე. იგი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმით ეხმარებოდა და კონსულტაციებს უწევდა დოქტორანტებს.

ბატონი ნიკო დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მას ყოველთვის მხარში ედგა მისი ოჯახი: მეუღლე – ქალბატონი კლარა ჯიბლაძე და შვილები – ია, თეიმურაზი (თამაზი) და მანანა.

ბატონი ნიკო ქორთუა 1998 წლის 28 ნოემბერს მოულოდნელად გამოაკლდა ქართული უმაღლესი სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეთა რიგებს. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და თანამშრომლებმა ღირსეულად დააფასეს ბატონი ნიკო ქორთუას ღვაწლი – მისი ნეშტი დაიკრძალა უნივერსიტეტის ეზოში.

გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორისაგან: *ამას წინათ კახეთში გახლდით მეგობრის ახლობლის გასვენებაში. როცა სიტყვა ამ ქვეყნიდან გადასულთა ხსოვნაზე ჩამოვარდა, ჩემს გვერდით მჯდარ ახოვან ჭარმაგ კაცს ვკითხე ნიკო ქორთუას თუ იცნობდი-მეთქი.*

– რა ამბობ, ჯო! – კახური ომახით მომიგო თანამესუფრემ, – ვიცნობ კი არა, დღესაც მთელი კახეთი ფეხზე ადგომითა სვამს მისი ხსოვნის სადღეგრძელოს!

ასეა, როცა ღვაწლმოსილი კაცი ამ ქვეყნიდან მიდის, ადამიანებს კი ამაგსა და სიყვარულს უტოვებს...

რ. ჯალაღანია

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲡᲐᲑᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲐᲜᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲢᲔᲠ-ᲛᲝᲧᲕᲠᲝᲑᲘᲡ „ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ“

ბატონო დავით!

წავიკითხე გაზეთ **„რეზონანსში“** დაბეჭდილი თქვენი ინტერვიუ, რომელიც დანაშაულში მხილებული გაბრაზებული კაცის პასუხები უფროა, ვიდრე გაწონასწორებული პოლიტიკოსის სამართლიანი მსჯელობა. გულწრფელად გეტყვით, მე მას სხვა დროს არ გამოვეხმაურებოდი. მაგრამ რაკი საქმე მარტვილში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ეხება, მე, როგორც გაზეთ **„მარტვილის“** რედაქტორი, თავს მოვალედ ვთვლი ამ ღია წერილით სხვების გასაგონადაც გავაკეთო რამდენიმე განმარტება.

დიახ, ამ რამდენიმე დღის წინათ, მარტვილში მართლაც მოხდა ასეთი ფაქტი: შიდაპარტიულ პრობლემებთან დაკავშირებით გამართულ აქციაზე **„ქართული ოცნების“** მარტვილელმა აქტივისტებმა თქვენი ფიტული დაწვეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ **„რეზონანსისთვის“** მიცემულ ინტერვიუში თქვენ გვერდს უხვევთ რა მთავარ საკითხს, რაზედაც **„ქართული ოცნების“** მარტვილელი აქტივისტები გედავებიან, მარტვილის მთელ მოსახლეობას შეურაცხყოფას აყენებთ, როდესაც ამბობთ: **„ერთი თავმჯდომარის ვაკანსიაზე მთელი მარტვილის მოსახლეობას თუ არა, ნახევარს მაინც აქვს პრეტენზია, რომ ამ თანამდებობაზე ის უნდა იყოს-ო“**.

ტყუილია!

„ქართული ოცნების“ მარტვილელ აქტივისტებს ის ფიტული იმიტომ კი არ დაუწვავთ, თავმჯდომარედ ჩვენ რატომ არ დაგვნიშნეთო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ, თქვენი საკადრო პოლიტიკით მარტვილში იგნორირება გაუკეთეთ იმ ხალხს, ვინც საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილს უჭერდა მხარს და სამეგრელოში ახალაიების, გოროზიების, ქარდავების წინააღმდეგ იბრძოდა. დღეს კი თქვენ იმ ხალხს **„ქართული ოცნების“** სახელით თავზე წამოასკუპეთ კაცი, რომელსაც საპარლამენტო არჩევნებში **„ოცნების“** სასარგებლოდ მარტვილში თითი არ გაუნძრევია და 1 ოქტომბრამდე საარჩევნო შტაბს ახლოსაც არ გაჰკარებია.

რატომ?

სანამ თქვენ ამ კითხვას უპასუხებდეთ, გთხოვთ მე ნუ დამიჯერებთ და ჰკითხეთ ბატონ მურთაზ ხურცილავას, რომელიც ოცნების კანდიდატი იყო მარტვილში და რომელმაც ჩვენზე უკეთ იცის ვინ უჭერდა მას მხარს და ვინ რას აკეთებდა **„ქართული ოცნების“** მხარდასაჭერად მარტვილის რაიონში!

და კიდევ: რატომ ხდება რომ დღეს მარტვილში გამგებლობის თუ შტაბის უფროსობის კანდიდატად, პარტია **„ქართული ოცნების“** თავმჯდომარედ თუ პარტიის ბიუროს წევრად თქვენ ყოველთვის იმ კონფორმისტებს მოიაზრებთ ხოლმე, რომლებსაც საჯაროდ ერთი განცხადებაც კი არასდროს გაუკეთებიათ იმ უზნეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რასაც ნაციონალური მოძრაობა სჩადიოდა საქართველოში (მათ შორის მარტვილში), ხოლო ისინი კი, ვინც მართლა გულწრფელად უჭერდნენ მხარს **„ქართულ ოცნებას“**, ყოველთვის გავიწყდებათ. რატომ?

ახლა როცა ამ წერილს ვწერ ჩემს საწერ მაგიდაზე დევს NDI-ის მიერ გამოცემული 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ცნობარი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ არჩევნებში ახალმა მემარჯვენეებმა ანუ იმ პარტიამ, რომლის გენერალური მდივანი 10 წლის განმავლობაში თქვენ ბრძანდებოდით, მარტვილში 5 სოფელში შეძლო გამგებლად თავისი წარმომადგენლის გაყვანა. ყველამ ხომ ვიცით ვინ იყვნენ და რომელი კლანიდან მოდიოდნენ მაშინდელი თქვენი **„ფალავნები“**, რომლებიც ახლანდელ საპარლამენტო არჩევნებში ყველანი პირწავარდნილი ნაციონალები იყვნენ.

ახლა კი ის თქვენი **“ᲑᲐᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲚᲔᲑᲘ”** თქვენს იმედად არიან და **“ᲑᲐᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲐᲡ”** აპირებენ.

იქნებ ეს არის მიზეზი თქვენი გულმავიწყობისა, ბატონო დავით!

სამეგრელოში ფოთის შემდეგ მხოლოდ მარტვილში ჰქონდა **„ქართულ ოცნებას“** ყველაზე მაღალი მაჩვენებელი. აქ **„ქართულ ოცნებას“** 9 ათასმა კაცმა მისცა ხმა. ბატონო დავით, თუ თქვენ მართლა აპირებთ, საპრეზიდენტო არჩევნებში ეს ხალხი განზე გასწიოთ და მათ ნაცვლად აწ უკვე ოცნებაში გადმობარგებული ყოფილი ნაცები მოიყვანოთ პარტიულ ორგანიზაციებში თუ შტაბებში, რომ მერე აქედან გაუხსნათ გზა სახელმწიფო სტრუქტურებისკენ, იცოდეთ, რომ ასეთი საკადრო პოლიტიკა დამღუპველი იქნება არა მარტო **„ქართული ოცნებისთვის“**, არამედ მთლიანად საქართველოსათვის.

ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას მივცემ, გაგახსენოთ იგავი იმ ცბიერი ვეზირის შესახებ, რომელმაც მეფეს ურჩია: მეგობრები მაინც მეგობრები არიან, მოდი მტრები დავიმოყვროთო.

და დაიწყო მთელ სამეფოში მტრებთან დამოყვრებისა და მტრების გადმობირების გაწამაწია, რამაც აღაშფოთა მეფის მეგობრები, ეგ სად გაგონილა, მტრებზე მეტს ზრუნავდე, ვიდრე მოყვრებზეო, მაგრამ მათ ვინ მოუსმინა.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ იმ ცბიერი ვეზირის პოლიტიკამ მეფეს ტახტი დააკარგვინა.

აქედან მორალი: თუ მტრებს ისე მოვექცევით, როგორც მეგობრებს, ხოლო მეგობრებს, როგორც მტრებს, ბოლოს მარტო მტრები გვეყოლება.

იქნებ ამ იგავმა ცოტათი მაინც ჩაგაფიქროთ, ბატონო დავით, თქვენი საკადრო პოლიტიკის ავ-კარგიანობაზე.

სანამ თქვენ ამაზე იფიქრებთ, მე ჩემს მკითხველებს, რომლებსაც აინტერესებთ რა იქნა ის ცბიერი ვეზირი, რომელმაც მეფეს ტახტი დააკარგვინა, უნდა ვაცნობო, რომ ის **ახალი მეფის პირველ ვეზირად დაჯდა.**

ასე რომ, იმ ვეზირის მოქმედების მიზანი ყველასათვის გარკვეულია, თუმცა ჯერ კიდევ გაურკვეველია რა უდევს საფუძვლად თქვენს მიერ **„ქართული ოცნების“** აქტივისტთა იგნორირებას მარტვილში და სამეგრელოს სხვა რაიონებში.

და ამას თქვენ თვითონ თუ არ აგვიხსნით, ბატონო დავით, ჩვენ არაფერი დაგვრჩება გარდა იმისა, რომ ეს თქვენი ფარული განზრახვა სულაც არ განვასხვაოთ იგავში მოთხრობილი იმ ცბიერი ვეზირის მტერ-მოყვრობის ფილოსოფიისგან, რისი დაჯერებაც ნამდვილად არ გვსურს.

ახლა კი რაც შეეხება მარტვილის საარჩევნო შტაბის ყოფილ ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ბიგვავას, მთელმა რაიონმა იცის და მინდა თქვენც იცოდეთ, რომ ბატონი ზურაბი **„ქართულ ოცნებაში“** ზოგიერთებივით 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ არ მოსულა. მან არჩევნებში კოალიცია **„ქართული ოცნების“** რაიონული შტაბის თავმჯდომარედ დანიშვნამდე დიდი ხნით ადრე თქვა უარი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებაზე და შეუერთდა ბიძინა ივანიშვილის გარშემო გაერთიანებულ იმ გუნდს, რომელიც ნაცხელისუფლებისგან საქართველოს გასათავისუფლებლად იბრძოდა. მე კარგად მახსოვს იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილი მისი სტატიები **(„ნუ ვიქნებით უსამართლო ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული შიშის მონები“, „დღეს გაჩუმება ნებაყოფლობითი მონობის ტოლფასია“)**, რომელთა დაწერას, მაშინ, ალბათ, ბევრი ვერ გაბედავდა. საინტერესოა, სად იყვნენ მაშინ ის თქვენი ფავორიტები, რომლებსაც აგზავნით დღეს თქვენ რეგიონებში პარტიის თავმჯდომარეებად, საარჩევნო შტაბების უფროსებად თუ გამგებლის პოსტის დასაკავებლად.

გაზეთ **„მარტვილის“** რედაქცია და რაიონის შემოქმედებითი ინტელიგენცია კარგად იცნობს ზურაბ ბიგვავას, რომელმაც ჯერ კიდევ 2003 წელს გამოცემულ თავის წიგნში **„გახსოვდეთ, გვიმზერს მაღლიდან ღმერთი“** ასეთ ფორმულად ჩამოაყალიბა საკუთარი ცხოვრებისეული კრედო: **„სანამ ცოცხალი ვარ, მინდა ვემსახურო ღმერთს, სამშობლოს და ჩემს ოჯახს, იმით, რისი შესაძლებლობაც გამაჩნია“**. სწორედ მისი ინიციატივით დაიდგა 2009 წელს მარტვილში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე 9 აპრილის მემორიალი.

ბატონი ზურაბი უდალატო პიროვნებაა, ამიტომაც უყვართ და ენდობა მას რაიონის მთელი საზოგადოება.

და ამ ხალხის აზრი ყველამ უნდა გავითვალისწინოთ.

ერთ საკითხსაც მინდა შევეხო:

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მარტვილში **„ქართული ოცნების“** ახალი შტაბის გახსნის შემდეგ, 300-ზე მეტი პარტიის წევრს, რომლებიც 1 ოქტომბრის არჩევნებში მთავარ აქტივს წარმოადგენდნენ, შევსებული ანკეტები უკან დაუბრუნეს და სანაცვლოდ პარტიის წევრობისკენ გზა გაუხსნეს იმ ადამიანებს, რომლებსაც ადრე **„ოცნების“** მარტვილის ოფისთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

ახლა თვითონ განსაჯეთ რამდენად ზნეობრივია ასეთი მიდგომა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სრულიად უანგაროდ ედგნენ გვერდით **„ქართულ ოცნებას“** და თავდაუზოგავად იბრძოდნენ ჩვენთან ერთად ნაცმოძრაობის წინააღმდეგ სამართლიანობის აღსადგენად.

საინტერესოა ამაზე რას იტყვით, ბატონო დავით?!

უღრმესი პატივისცემით,

ᲤᲐᲣᲡᲢ ᲜᲐᲓᲐᲠᲐᲘᲐ,
გაზეთ „ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘᲡ“ რედაქტორი

ᲜᲐᲢᲘᲣᲙᲐ, ᲭᲘ, ᲗᲣ ᲘᲡ, ᲥᲕᲔ ᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲘ ᲜᲣ ᲘᲡ!

“ᲛᲘᲕᲐᲓᲐᲮᲔ “ᲭᲘᲜᲭᲐᲠᲨᲘ ᲜᲣ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ!.. ᲜᲣ ᲒᲒᲝᲜᲘᲐ ᲘᲥ ᲘᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘ!”
ᲐᲠᲐᲐᲙᲘ

ბებიაჩემი ტერეზია, სხვაველი ქალი, სიბერეში სიცილით იხსენებდა თავისი მეზობლის ოლღას საპროტესტო მიმართვას ასევე სოფელში მცხოვრებ მკერავ ნატოსადმი.

ქალბატონი ნატო კიდეც ქსოვდა. კლიენტურა ჰყოლია. ოლღას მასთან შალის ძაფი მიუტანია და ჟაკეტის მოქსოვა შეუკვეთავს. ნატომ ძაფი დაიტოვა და უთხრა, ორი კვირის შემდეგ მისულიყო...

მისვლა-მოსვლაში ბარე სამი თვე გავიდა. მოვიდა შემოდგომა. აცივდა. გამწარებული ოლღა კიდევ ერთხელ მიადგა მკერავის ჭიშკარს და აივანზე **“ᲑᲐᲠᲘᲜᲘᲐᲡᲐᲕᲘᲗ”** მდგარ ნატოს შესძახა: “**ᲜᲐᲢᲘᲣᲙᲐ, ᲭᲘ, ᲗᲣ ᲘᲡ, ᲥᲕᲔ ᲘᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲙᲘ ᲜᲣ ᲘᲡ!**”, ე.ი. – ნატო, ჭირიმე, თუ მიქსოვ, მომიქსოვე, თუ არა და, ნუ მომიქსოვო...

ასეა ჩვენი საქმე!

ნატო, შე ოჯახქორო, თუ გვიღებ, მიგვიღე, თუ არა და, ნუ მიგვიღებ!

ოლღა ხათრიანი რაჭველი ქალი იყო, სამ თვეში მიხვდა რომ ატყუებდნენ.

ჩვენი მესიაკონი, ენანავარჯიშევი პოლიტიკოსები კი ათეული წლების მანძილზე **ᲜᲐᲢᲝ**-ს ხბოს აღტაცებით თვალებში შესციცინებენ, ეხვეწებიან, ემუდარებიან, მუხლებზე უჩოქებენ, ერთგულებას ეფიცებიან, მაგრამ აისბერგივით ცივი **ᲜᲐᲢᲝ** გახელებულ, ცხვირქექია სამხრეთელ რაჟიფს შანსს არ უტოვებს...

საქმე იქამდე მივიდა, რომ სეტყვის მოლოდინში ვენახში მდგარი კახელი გლეხი აღტაცებული შესცქერის როგორ გადაარჩინა მისი ვენახი **ᲜᲐᲢᲝ**-ს დროშამ!

ეს ტელეეკრანებზე ხდება!

მანამდე არაფერი გვეტკინოს, ვიდრე ჩვენს ვენახებს **ᲜᲐᲢᲝ**-ს დროშა სეტყვისაგან დაიფარავს!

ჩვენს ვენახებს სეტყვისაგან იცავდა არა **ᲜᲐᲢᲝ**-ს დროშა, არამედ რუსეთში დამზადებული სეტყვის საწინააღმდეგო სარაკეტო დანადგარები.

გამოგონილ, წარმოსახვით შექმნილ მირაჟულ სამყაროში ცხოვრებას ბევრისთვის კისერი მოუტეხავს.

ჩვენც ასე არ დაგვემართოს!

ამასწინათ **ᲜᲐᲢᲝ**-ს გენერალურმა დირექტორმა მუსიე რასმუსენმა გასაგებად განაცხადა: “ავღანეთში სისხლისღვრა და ვაჟკაცური ომი, მეომრული სიმამაცე და თავგანწირვა საკმარისი სულაც არ არის. მთავარია ჩვენს დაკრულზე იცეკვოთ, გეიაღლუმებს ტაშისცემით მიესალმოთ, ერთსქესიანთა ქორწინების კანონი მიიღოთ, თქვენმა ეკლესიამ ნამეტნავად შეყვარებულ მამაკაცებს ჯვარი დასწეროს... აი, მაშინ, შეიძლება ჩვენს ბედნიერ ოჯახში მამულდაკარგული, ღარიბი, უპოვართათვის სამადლოდ ერთი კუნჭულის გამოყოფა!”

ბატონი ალასანია კი გვარწმუნებს: ჩვენი ჯარი პრაქტიკულად **ᲜᲐᲢᲝ**-ში არისო!

ნეტავი ეს არ გამეგონა!

ნუთუ?.. არა მგონია... არა მჯერა! ჩვენ, ომით გაუმაძღარი, სამასი არაგველის მემკვიდრე ჯარისკაცები გვყავს! მხოლოდ ეგ არის, გადედლებული, მშიშარა მთავარსარდლები ბრძოლის ველიდან კურდღლებივით გარბიან!

ომებში გამოცდილმა დიდმა კორსიკელმა ბრძანა: ლომების ჯარს დედალი თუ სარდლობს, აუცილებლად დამარცხდებაო...

ან, რად გვინდა, ბატონო მინისტრო, **ᲜᲐᲢᲝ**-ში გაწევრიანება?

გთხოვთ წაიკითხოთ ახლახან გამოცემული წიგნი **“ᲜᲐᲢᲝ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ”**, სადაც თავმოყრილია კომპეტენტურ უცხოურ გამოცემებზე დაყრდნობით დაბეჭდილი ის მასალები, რომლებიც ნიღაბს ხდის ამ ორგანიზაციას და წარმოაჩენს მის ჭეშმარიტ ბუნებას.

XVIII საუკუნის დასასრულს განადგურება-გადაგვარების წინ მდგარი საქართველო და ქართველობა იხსნა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირმა!

XXI საუკუნის დასაწყისში საზარელი რეალური საშიშროების წინ მდგომი საქართველო და ქართველი ერი გადარჩენის გზას კვლავ რუსეთისკენ მიჰყავს!

“ᲜᲣ ᲓᲐᲕᲙᲐᲠ�გᲐᲕᲗ ᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲒᲖᲐᲡᲐ, ᲜᲣᲠᲪᲐ ᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡᲐ!” – გვასწავლის ხალხური სიბრძნე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის და უნეტარესობის ილია მეორის ვიზიტმა რუსეთში, მისმა შეხვედრებმა რუსეთის საერო და საეკლესიო იერარქიის პირველ პირებთან, მათმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება, მისი ეკონომიკის აღორძინება და სულიერი ფასეულობების დაცვა კვლავ ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით შეგვიძლია.

“ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ” თავისი ისტორიული მისია შეასრულა – არჩევნებში **“ᲜᲐᲪᲔᲑᲘ”** დაამარცხა, მაგრამ როგორც ჩანს, ხვლიკს კუდი მოსწყვიტა და თავი არ გაუჭეჭყა! ეს იმიტომ მოხდა, რომ **“ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ”**, ანუ უმრავლესობაში, ბლომად არიან **“ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ”** დაფრთიანებული სვავები, სოროსის ფულებით გაამპარტავნებულნი, რომლებიც არად დაგიდევენ სახელმწიფოსა და ერის სასიცოცხლო ინტერესებს და თავიანთი დასავლეთელი მამა-მარჩენალის ძია სემის ნებისმიერ მოთხოვნას უსიტყვოდ ასრულებენ.

“ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ” რესტავრაციის შემთხვევაში (ამის ალბათობა კი, არის) საქართველო გადაიქცევა არამც თუ შტატად, არამედ კოლონიად; დაიწყება ამერიკანიზაცია და სულ მალე ინდიელთა სავალალო ხვედრს გავიზიარებთ. ცოცხლად დარჩენილები ჩოხა-ახალუხს ჩავიცვამთ, თავს ჩაბალახით დავიმშვენებთ და უცხოელი ტურისტები ჩვენთან სამახსოვრო, ეკზოტიკურ სურათებს გადაიღებენ, თან დოლარსაც გვაჩუქებენ!

როგორც ინდიელები დღეს თავს ირჩენენ...

წინ არჩევნები გველოდება. დავირაზმოთ და ხმა მივცეთ პრეზიდენტობის იმ კანდიდატს, რომელიც შესძლებს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას, დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს, შესძლებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ლტოლვილთა ღირსეულად დაბრუნებას, რუსეთთან შეწყვეტილი კულტურული და სავაჭრო ურთიერთობათა განახლებას.

ასეთ პრეზიდენტს მხარში ამოუდგება საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მათი მრევლი!

ჯანდაბას გეების დასავლეთი!

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

დარწმუნებული ვარ, ატლანტელებს არ დავავიწყდები...

მას შემდეგ, რაც **"მილუოკი ბაქსთან"** სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, ზაზა ფაჩულიას ქართველ ჟურნალისტებთან არ უსაუბრია.

ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **"ხარირმებში"** (ინგლისურ ენაზე **"ბაქსი"** სწორედ ხარირემს ნიშნავს) გადასვლის მიზეზებზეც ილაპარაკა, ატლანტაში გატარებულ წლებზეც, საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულ წევრ ლუკ ზელერზეც და თავის უცნაურ თვისებებსა და მეუღლის სტუდიაზეც კი...

– როგორც კი პირველი ივლისი დადგა და სატრანსფერო ფანჯარა ოფიციალურად გაიხსნა, **"ატლანტას"** ყოფილმა და **"მილუოკის"** ამჟამინდელმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ დამირეკა – ძალიან მინდა, ისევ ჩემს გუნდში ითამაშო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებო...

რვა წელია, დრიუს ვიცნობ. პროფესიონალ მოთამაშედ, ფაქტობრივად, მის თვალწინ ჩამოყალიბდი და ეს ზარი ჩემთვის ბევრს ნიშნავდა.

ლარისთან ლაპარაკიდან თხუთმეტ წუთში **"ნიუ-იორკ ნიქსიდანაც"** დამირეკეს, თუმცა მათ უფრო მცირე ბიუჯეტი აქვთ და გულის სიღრმეში, იქ თამაში თავიდანვე გამოვრიცხე.

ჩემს აგენტს **"პორტლენდიდან", "სან ანტონიოდან", "კლივლენდიდან"** და **"შარლოტიდანაც"** დაურეკეს...

– არაერთხელ გითქვამს, რომ ატლანტა შენი სახლია. ჯორჯიელებს იგივე პირობები რომ შემოეთავაზებინათ, ალბათ, "ქორებში" დარჩებოდი...

– რა თქმა უნდა... ვკითხეთ კიდეც, რას ფიქრობდნენ, მაგრამ პირობებში ისეთი სხვაობა იყო, არ მიღირდა დარჩენა...

სხვა ფაქტორებთან ერთად, პროფესიონალი მოთამაშისთვის ფინანსურ მხარესაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. თუმცა, სადაც უნდა ვითამაშო, აშშ-ში ჩემი სახლი მაინც ატლანტა იქნება, ამერიკელებისთვისაც **"ატლანტასთან"** ვასოცირდები...

ახალ კონტრაქტს ხომ მოვაწერე ხელი, მაგრამ ისე ვარ მიჩვეული ატლანტას, ბოლომდე ჯერაც არ მჯერა, რომ იქ აღარ ვითამაშებ...

რვა წელი ცოტა არ არის. ზოგიერთი მოთამაშე რვა სეზონს საერთოდ ვერ ატარებს NBA-ში, მე კი ერთ კლუბში ვითამაშე.

ატლანტაში, მოედანზეც და მის გარეთაც, ბევრი კარგი რამ მოხდა. სხვა რომ არაფერი, ჩემი სამივე შვილი ამ ქალაქში დაიბადა...

– "მილუოკიში" მხოლოდ ხელფასისთვის ხომ არ წასულხარ? არაერთხელ გითქვამს, რომ ისეთ გუნდში გინდა თამაში, რომელსაც პლეი-ოფში თამაშის ამბიცია აქვს; რომ არ გინდა, მაჩანჩალა კლუბში მხოლოდ ფულისთვის თამაშობდე...

– საინტერესო კითხვაა... ბევრგან წამიკითხავს – რა უნდოდა ფაჩულიას "მილუოკიში", გადასულიყო ჩემპიონობისთვის მებრძოლ კლუბში – **"მაიამიში", "ოკლაჰომაში"** ან **"სან ანტონიოშიო"...**

ვითომ **"ბაქსი"** რატომ არ არის პლეიოფის გუნდი?! მით უმეტეს, შარშანაც ითამაშა და ნამდვილად არ არის ისეთი მაჩანჩალა, მაგალითად, **"შარლოტ ბობქეთსი"** რომ იყო წლების განმავლობაში.

– ცეკვის სტუდიას, რომელიც შენს მეუღლეს ატლანტაში აქვს, მილუოკიში ხომ არ გადაიტანთ?

– უკვე შეიძლება ითქვას, რომ კი არა აქვს – ჰქონდა (იცინის)... სხვათა შორის, ქართველები მილუოკიშიც არიან და უმეტესობას კარგად ვიცნობთ.

თიკას რაც შეეხება, ჩემი გულისთვის პროფესიულ ცეკვას დაანება თავი და სტუდიის მიტოვებას ვერ გადაიტანს (იცინის)?!

– ბოლო დღეებია, ამერიკელი ჟურნალისტების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ხარ. ყველაზე ხშირად რას გეკითხებიან?

– სანამ კონტრაქტს გავაფორმებდი, თქვენი ატლანტელი კოლეგები მეკითხებოდნენ, ხომ არ გადაიფიქრებო – მათაც უნდოდათ, **"ატლანტაში"** დავრჩენილიყავი. გულშემატკივრები კი... ბოლო დღეებში კიდევ უფრო ცხადად ვიგრძენი, როგორ ვუყვარვარ აქაურებს.

ერთ-ერთმა გულშემატკივარმა twitter-ზე ძალიან ემოციური რამ მომწერა – ფულის შეგროვებას ვიწყებ, ზაზას კონტრაქტი რომ გამოვისყიდო და **"ატლანტაში"** დავტოვოო...

ასეთი რაღაცების კითხვა უნდა შევწყვიტო, თორემ ასეთი გზავნილების შემდეგ საკუთარ თავს ვეკითხები – შეცდომა ხომ არ დავუშვი...

დარწმუნებული ვარ, ატლანტელებს არ დავავიწყდები. ყველაზე მეტად სწორედ ქომაგების მიტოვება მიჭირს. მწვრთნელიც შემიცვლია, გუნდის მენეჯერიც, პირადი აგენტიც კი, მაგრამ ასეთი გულისწყვეტა არასდროს მქონია...

ატლანტა ისევ ჩემი სახლი იქნება, მაგრამ ძალიან დამაკლდებიან ადამიანები, რვა წლის განმავლობაში რომ ვხედავდი ტრიბუნაზე. თუმცა, როცა სეზონი დაიწყება და **"მილუოკის"** თამაშებში ჩავებმები, დარწმუნებული ვარ, არც **"ხარირმების"** ქომაგების გულის მოგება გამიჭირდება...

– რეაბილიტაციის პროცესი დაგეგმილზე სწრაფი ტემპით მიდის, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე შენი თამაში მაინც გამორიცხულია...

– უფლის წყალობით, ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ სასექტემბროდ რომც ვიყო ფორმაში, ნაკრებში მაინც ვერ ვითამაშებ – სანაკრებო განაცხადი ხომ უკვე გაგზავნილია...

ვეცდები, სლოვენიაში მაყურებლის სტატუსით მაინც ჩავიდე.

– უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრები ნატურალიზებულ მოთამაშეს შენს პოზიციაზეც იმატებს. ლუკ ზელერზე რისი თქმა შეგიძლია?

– მასზე ბევრი არაფერი ვიცი, ზელერის ძმებს უფრო კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ძლიერი კალათბურთელები არიან. ერთი **"კლივლენდში"** თამაშობს, მეორე **"შარლოტში"**. როგორც გავიგე, ლუკსაც უთამაშია **"ფინიქსში"**, მაგრამ როგორც ჩანს, NBA-ში იმდენი არ უთამაშია, რომ მახსოვდეს...

– ამდენი თავისუფალი დრო პირველად გაქვს. სავარჯიშო დარბაზის გარდა, ყველაზე ხშირად სად შეიძლება ზაზა ფაჩულიას ნახვა?

– ვცდილობ, ეს დრო განათლების მისაღებადაც გამოვიყენო და ატლანტაში **"მასტერის"** ხარისხის მისაღებად ვემზადები. სახლი-დარბაზი-სკოლა – ძირითადად, ასეთია ჩემი დღის რეჟიმი...

– ერთხელ მითხარი – გასვლითი მატჩიდან რაც უნდა დაღლილი დავბრუნდე, ჯერ ჩემოდანს ამოვალაგებ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიძინებო... სხვა უცნაური თვისებაც გაქვს?

– უცნაურის რა გითხრათ, მაგრამ ამერიკელებისგან განსხვავებით, მომავლის დიდი ხნით ადრე და დეტალურად დაგეგმვას ვერ შევეგუე.

ყველაფრის გაკეთება სპონტანურად, ბოლო დღეს მიყვარს. მაგალითად, სასტუმროს ან ბილეთებსაც ერთი-ორი დღით ადრე ვჯავშნი და ამის გამო ხშირად ვზარალობ კიდეც (იცინის). ძვირი კი მიჯდება, მაგრამ სამაგიეროდ, როცა მინდა, მაშინ ვაკეთებ და კონკრეტულ თარიღებზე არ ვარ **"მიბმული"...**

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



მარათონი საქართველოს პრეზიდენტობისათვის დაიწყო

ქართული პროგრესული საზოგადოებისა და, პირადად ჩემთვის, დიდად საწუხარია, რომ ქართველი ერისათვის ისეთ მნიშვნელოვან **"ჭიდილში"**, როგორიცაა საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები, აქტიურად არ არის ჩართული პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეული კანდიდატი, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია.**

ჩვენ ჯერ კიდევ 2012 წელს, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებისას გამოვთქვამდით გულისტკივილს იმის თაობაზე, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდნენ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია და მისი პოლიტიკური გუნდი. არა და, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან გამოყვანა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დღეს, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიაზე ქმედითად არავის ხელეწიფება, რაც დღის წესრიგში ავტომატურად აყენებს საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მონაწილეობის აუცილებლობის საკითხს!

დღეს დგას იმის გადამწყვეტი ჟამი – სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, თუ შევძლებთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას! ასეთი მნიშვნელოვანი არჩევნის ჟამს კი შეუმცდარი გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ და ქვეყნის სათავეში მოვიყვანოთ მებრძოლი სულის მქონე პრინციპული პოლიტიკოსი და არა "პლასტელინივით" მოქნილი პიროვნება, რომელიც სხვისი ხელში შემყურე იქნება და დამოუკიდებლად ვერ შესძლებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას.

სწორედ ასეთ მებრძოლი სულის მქონე პრინციპულ პოლიტიკოსად მიგვაჩნია ჩვენ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია!

განა ვინმეში ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ კონკურენტი პოლიტიკოსები ახლოსაც კი ვერ მივლენ ჭაჭიასთან პოლიტიკური გამჭრიახობით, მოვლენათა ანალიზისა და წინასწარი განჭვრეტის უნარით, განათლებით, გენეტიკური ხაზით (ბატონი ალექსანდრეს პაპა ილია ჭავჭავაძისეული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდათ), თავშეკავებულობით თუ სხვა იმ თვისებებით, რაც ესოდენ აუცილებელია იმ სახელმწიფოს მეთაურისათვის, რომელსაც კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივ.

ბატონი ალექსანდრე ხომ ერთნაირი პოპულარობით სარგებლობს როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, ასევე რუსეთის პოლიტიკურ წრეებში. ეს კი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ბაზა გახლავთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის..

უდავოა, ბატონი ალექსანდრეს პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, ჭაჭია-ივანიშვილის პოლიტიკური ტანდემი უდავოდ მოახერხებს საქართველოს აღორძინებასა და გაბრწყინებას.

ალეკო თოდუა,
ზუგდიდი

იუმორი

გურული ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:

– ჩემი ქალიშვილი შენი ცოლი თუ გახდა, შენ უნდა რეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილები, გარეცხო თეფშები...

– მერე, ერთადერთ ქალიშვილს მაგნაირ იდიოტს ატან?

* * *

კახელი ცოლს ეყრება.

– რა მიზეზით ეყრებით? – ჰკითხა მოსამართლემ.

– თეფშით ფანჯარა ჩაამტვრია და იმიტომ, – უპასუხა კახელმა.

– თვითონაა დამნაშავე, – აყვირდა ცოლი, – რომ არ ჩაკუზულიყო, თეფში ფანჯარას არ მოხვდებოდა...

* * *

მილიარდერი ეკითხება თავის საცოლეს:

– ჩემი სურვილია, მთელი ჩემი ქონება მე და შენ ერთად ვხარჯოთ, თანახმა ხარ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

– და ეს მთელი ცხოვრება უნდა გაგრძელდეს.

– არა მგონია, მაგდენი დრო დაგვჭირდეს, საყვარელო...

* * *

აბრა საქორწინო კაბების მაღაზიაში: "მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლებაა".

ISSN 1987-8966 ilori
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930
234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge